წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. სამშაბათი, 20 ენკენისთვე 1916 წ. № 208

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., მეოთხე გვერდზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა პეტიტის სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

ფასი გაზეთისა: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით —1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
განცხადებანი: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი ხანდრო შანშიაშვილი.

ენკენისთვის 20-ს, სამშაბათს,
სამეურნეო ბანკის დარბაზში
საქართ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა
წლიური კრება
კრების დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
საგანი კრებისა: 1) ე. ს. თაყაიშვილის მოხსენება ლეჩხუმის ზოგიერთ ეკლესიათა შესახებ. 2) საზოგადოების 1915 წლის მოქმედებისა და შემოსავალ-გასავლის ანგარიში. 3) სარევიზიო კომისიის აქტი. 4) 1816 წლის სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა. 5) ახალ წევრთა არჩევანი. 6) საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატთა არჩევანი.
კრებაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიანთ.
(1—249—2)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
ხიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია
ყოველ დღე მზადდება
საუზმე — ჩაი
სადილები — ყავა
ვახშმები — ხაჭაპური — პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვა ნელობით.
პატივისცემით ხილ. ხ. გიგიბერია.

ახალი მელანი
კოტე ონიკაშვილისა
მელანი ასლის ახალებადაც („კაპიროვკისთვის“) კარგია
დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგს ფასებში
ვინც 20 მანეთზე მეტს გამოიწერს ფლაკონით ღირება 1 მ. 20 კაპ.
ფუთი უბრალო შუშით 40 მან.
სანიმუშო მელანი ფას დადებით გაეგზავნებათ.
მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს
მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასზე
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იზოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.
სასადილო „ეკონომია“
პუშკინის ბაღის პირდაპირ.
მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ლობიო, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები მეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარაქით ამზადებს.
სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი
პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
(თ. 253—2) დიმიტრი უჩ. გიგიბერია და ნ. გ. ქურთაური

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣлъ), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

დოქტორი მედიცინისა
მოსკ. ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
ა. დ. შაჰბაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმ-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დ. ზესტაფონში
ექიმი
დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

## კვლავ ძველის გზით

გვეგონა რომ კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია სამუდამოდ უკუაგდებდა იმ პოლიტიკას, რომელსაც იგი აქამდის აწარმოებდა შემოერთებულ სამაჰმადიანო საქართველოში. გვეგონა თუ ხსენებული ადმინისტრაცია სახელმძღვანელოდ გაიხდიდა იმ საგანგებო კომისიის აზრებსა და დასკვნებს, რომელიც გენერალი პაროშინის მეთაურობით იძიებდა აჭარის ამბებს. ამ ოფიციალმა გამოძიებამ სამწუხარო შეცდომად აღიარა კავკასიის ადმინისტრაციის მთელი წარსული მოქმედება აჭარელთა შორის და აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია, რომ მთავრობა ქართულ ენასა და კულტურას დაყრდნობოდა ქართველ მაჰმადიანებ შორის რუსეთის სახელმწიფოებრივი პრინციპების განმტკიცების საქმეში.

ეს იყო მიზეზი, რომ აჭარამ დღეს პირველად ნახა ქართული ენა და წიგნები ადგილობრივად გამართულ სკოლებში, თუ მთელი ათეული წლების განმავლობაში უყურადღებოდ რჩებოდა წერა-კითხვის საზოგადოების თხოვნა, რომ უფლება მისცემოდა აჭარაში სკოლების გახსნისა, ამ გამოძიების შემდეგ ქართული საქველმოქმედო საზოგადოება გაუჭირვებლად ხსნის თავის სკოლებს. ყველას ეგონა მთავრობამ საბოლოოდ შეიწყნარა საგანგებო გამოძიებისგან ნაჩვენები გზა და საშუალებაო. როგორც სჩანს საგანგებო კომისიის გონივრულ დასკვნებს ყავლი გასვლია და ბათომის ადმინისტრაცია ძველ დაგმობილ გზას უბრუნდება. უკვე თავდარიგი დაუჭერიათ—ოსმალური სახელმძღვანელოების და წიგნების შესადგენად.

საცაა აჭარლებს და სხვა ქართველ მაჰმადიანებს ოსმალებად გამოაცხადებენ და პეტროგრადის მაგივრად პირს კონსტანტინეპოლისკენ უზამენ! ოღონდ ქართული ენა და კულტურა აღმოფხვრას მაჰმადიან ქართველთა შორის და სახელმწიფო ინტერესსაც არ დაგიდევს ძვეყნის მხსნელი ადმინისტრაცია.

ამავე გზით მოქმედებს მთავრობა ლაზისტანშიაც. მაშინ, როდესაც კავკასიის თათრები თავისუფლად დადიან ლაზისტანში და დამშეულ ლაზებს დახმარებას უჩენენ, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას საქმეს უძნელებენ და ნებას არა რთავენ ლაზისტანის ზოგიერთ ადგილას თვისი პუნქტები გაიჩინოს და ხალხს საკვები და საექიმო დახმარება მიაშველოს. ქართულ თაოსნობას და მოქმედებას დღეს დაბრკოლებები ხვდება გზაზედ აჭარაშიც და ლაზისტანშიც. ქართველმა საზოგადოებამ ამ გარემოებას უნდა ყურადღება მიაქციოს და გაიგოს ამ ახალი კურსის ავალ-დასავალი.

გ. ვაშაძე.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ჩრდილოეთის ასპარეზით რუმინეთის ჯარი წინსვლას განაგრძობს. გერმანშტატის ახლოს ავსტრიელები მრავალრიცხოვან ჯარით იერიშები მიაქვთ. ამავე დროს დობრუჯში თითქო ბრძოლა განელდა და მოპირდაპირე თითქოს ალარავითარ მოქმედების უნარს არ იჩენს. სამაგიეროდ აღმოსავლეთ ასპარეზზე რუსეთის ჯარს დაუწყვია შეტევა ბროდის მიმართულებით და ავსტრიელებიც საგრძნობლად დაუმარცხებია. ახლაც ჯარი წინსვლას განაგრძობს. ცხადია, ინიციატივა რუსების ხელშია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გენ. სახაროვი აქ დაწყებულ შეტევით სცდილობს გენ. კალედონის არმიას, რომელიც კოველის და ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით მოქმედობს მდგომარეობა გააუმჯობესოს და შეძლება მისცეს მანაც იერიშები დაიწყოს. თუ აქ გენ. სახაროვი იმდენად შეიჭრება გალიციაში, რომ ლვოვს ხელში იგდებს, მაშინ კოველის და ვოლინის ბედიც გადაწყვეტილი იქნება. გერმანელები რუსის ჯარის წვერით შემოვლილი იქნებიან და იძულებულიც გახდებიან ეს ფრიად მნიშვნელოვანი ადგილები დასტოვონ. გენ. სახაროვის გამარჯვებას უეჭველია სამხრეთ ბრძოლის ხაზის ახმაურებაც მოჰყვება, მთელი სიმაგრეები ავსტრიელების ზოლოტაია ლიპიდან მოკიდებული საშიშ მდგომარეობაში ჩაცვივდებიან და იძულებული გახდებიან დასთმონ ეს ადგილები. კავკასიის ბრძოლის ველზე მდგომარეობა უცვლელია.

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

19 ენკენისთვე

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. რიგის სამხრეთით ზარბაზნებით ჩამოვაგდეთ მტრის ჰაეროპლანი, რომელიც მოპირდაპირის მხარეს ჩამოვარდა. ბროდი-კრასნოს რკინის გზის მიდამოებში და მის სამხრეთით ბრძოლაა. ჩვენი ჯარი ბრძოლით წინ იწევს. მოპირდაპირე ძლიერს წინააღმდეგობას გვიწევს, აქ დავატყვევეთ 59 აფიცერი და 1928 ჯარისკაცი. ბჟეჟანის სამხრეთით მდ. ცეკუვკაზე, ზოლოტოი ლიპას მარჯვენა ნაპირას ბჟეჟანის სამხრეთით ჩვენი საქმე მარჯვედ მიდის. აქ დავატყვევეთ 112 აფიცერი და 2288 ჯარისკაცი. მტერმა ღამე რამდენჯერმე იერიში მოიტანა, მაგრამ ტყვიისმფრქვეველებით მოვიგერიეთ. ამ მიდამოებში ჩვენი ჰაეროპლანები გერმანელების „ალბატროსს“ შეებრძოლა. მფრინავმა შტ.-კაპ. შირკომ მტრის ჰაეროპლანზე იერიში მიიტანა. ჰაეროპლანი იძულებული გახდა თავისიანების მხარეს დაშვებულიყო.

**კავკასიის ასპარეზზე** არსებითი რამ ცვლილება არა ყოფილა.

18 ენკენისთვე

**ბუქარესტი.** რუმინელების ოფიც. ცნობა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზზე ბრძოლაა მთელ ხაზზე. უფრო ცხარე ბრძოლაა როტმანადბატკუს ჩრდილო-დასავლეთით სტენაგარდის ჩრდილოეთით. მტერი დასავლეთისაკენ იხევს. სიმიუს მიდამოებში მედგარი ბრძოლა გრძელდება. პერინის კუნძულის სამხრეთით, არხში ზარბაზნებით დავლუპეთ მტრის სამხედრო გემი. მოპირდაპირის მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ჩერნავოდს, ალექსანდრიას და ბუქარესტის სამხრეთით მდებარე სოფლებს. მეხეჟუნტის ოლქში, გადეზის მახლობლად მტრის ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ. ფრანგების ჰაეროპლანი სოლუნიდან ვაილეშტში მოფრინდა.

15 ენკენისთვეს მტერმა ბუქარესტს ყუმბარები დაუშინა. ზარალი უმნიშვნელოა.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. ჩვენმა ჰაეროპლანებმა პრილეპს ბევრი ყუმბარები დაუშინეს. მეორე ჰაეროპლანმა სოფიას დაუშინა ყუმბარები და მერე ბუქარესტამდე გადაიარა, სადაც მშვიდობიანად დაეშვა.

19 ენკენისთვე

**ბუქარესტი.** რუმინეთის ოფიციალი ცნობა. დობრუჯში ბრძოლაა ზარბაზნებით და ჰაეროპლანებით.

**ლონდონი.** საფრანგეთის ასპარეზზე მმოქმ. ინგლისის მთავარ ბანაკის ცნობა. მთელი დღე ზარბაზნების მედგარი სროლა იყო დესტრების ფერმასა, სტაფის და ცოლერნის რედუტების მიმართ. ჩვენი ბრძოლის ხაზი წინ წავწიეთ ოკურდამეს სამხრეთით. ტიენვალეს მიდამოში დავატყვევეთ 3 აფიცერი და 164 მეომარი. 15 ენკენისთვეს კიდევ ორი საფრენი ჩამოვაგდეთ.

**სტოკჰოლმი.** ბერლინიდან იტყობინებიან: პრუსიის სამხედრო მინისტრი სამსახურიდან გადადგა.

**ბუქარესტი.** რუმინეთის მეფემ 30 ენკენისთვეს ბრძანება გასცა, 1917 წელს ჯარში გასაწვევი ახალგაზდები ეხლა გაიწვიეთო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**საბერძნეთი**

გერმანელები ბეტმანჰოლვეგის თეორიას ზედმიწევნით ასრულებენ. მათ დაიპყრეს კავალა და დრამა, ხოლო ფლორინიდან უკან დახევის დროს ბერძენთა რაზმი დააპატიმრეს. საბერძნეთის მთავრობამ ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და გამოაქვეყნა, რომ იგი გულისწყრომას უცხადებს გერმანელებს. მიუხედავად ყველა ამისა გერმანოფილთა პრესა ნეიტრალიტეტის მომხრეა, რაც რომ გერმანელებისათვის დღეს ხელსაყრელია.

ვენიზელოსის მოწინააღმდეგე გაზეთმა „კრიპ“-მა „დიპლომატის“ სახელით შემდეგი წერილი მოათავსა: „ვიდრე გერმანეთი სულ მთლად არ დამარცხდება, ბალკანეთის სახელმწიფოებისათვის სახიფათოა ომში ჩაერიოს. გერმანელები პოლონეთს, საფრანგეთს და ბელგიას უფრო დასთმობენ, ვიდრე ბალკანეთს. იგი მოკავშირეებს, უფრო კი რუსებს, არას გზით ნებას არ მისცემს სტამბოლი დაიპყრან და გამბურგსა და ბაღდადს შუა მიმოსვლა შესწყვიტონ, ომის დაწყებამდე გერმანეთის მთავრობამ ჩუმი ხელშეკრულობა დასდო ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის, რომ იგი უზრუნველ ჰყოფს მათ მდგომარეობას. ამგვარად, თუ ვენიცობაა საბერძნეთი ომის ფერხულში ჩაებმება, მას ბულგარელებთან კი არ მოუხდება შეხვედრა, არამედ გერმანელებთან, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ ბალკანეთში ძალა ბოლომდე შეინარჩუნონ.

**საბერძნეთის ახალი კაბინეტი**

საბერძნეთის პრესა მინისტრთა ახალ კაბინეტს გულგრილად შეხვდა. „ემბროს“-ის სიტყვით ახალი მთავრობა ზაიმისზე ნაკლებ არ შესძლებს მოკავშირეებთან მოლაპარაკების გამართვას.

ვენიზელოსის გაზეთის სიტყვით, ახალ მინისტრების არჩევა, რომლებიც გერმანოფილობას არა ჰფარავენ, ნათელს ჰყოფს აბსოლიუტიზმის განმტკიცებას.

—

ეროვნულმა კომიტეტმა სალონიკში საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა.

კრიტოსის რევოლიუციონერებმა აიღეს კანდია და კანეა. ახლა სიტიას და რეტიმნოს ემუქრებიან.

კორფუს კამენდანტი რევოლიუციონერებს მიემხრო.

ვენიზელოსი და საზღვაო მინისტრად ნამყოფი კუნდირიოტისი პირეიდან სალონიკს გაემგზავრნენ.

სამინისტროს კრიზისს დღე-დღეზე ელიან.

„კორ. დელა სერა“ სწერს: თუ მეფე კონსტანტინე ჯიუტობას არ მოიშლის, საბერძნეთის მაკედონიას, სალონიკითა და ეგეის კუნძულებით, ავტონომიურ სახელმწიფოდ გამოაცხადებენ, შეუკავშირდებიან მოკავში-

რე სახელმწიფოებს და ავსტრია-უნგრეთ-ბულგარეთს ომს გამოუცხადებენ.

საბერძნეთის სამხედრო მინისტრად ნამყოფი იოანაკიტცასი ვენიზელოსის პარტიას მიემხრო.

### ვენიზელოსის აზრი.

საბერძნეთი, რომლის ბედსაც ატრიალებენ ნეიტრალობის მოტრფიალენი, უფსკრულის პირას სდგას. სალენი, ყოველთაო მობილიზაციამ რამდენიმე ასი მილიონი მან. უკვე ჩაჰყლაპა. ჩვენმა მთავრობამ უბრძოლველად დაჰკარგა აღმოსავლეთი მაკედონია და აყვავებული კავალას ნავთსადგური. ჩვენს მოსისხლე მტერს, ბულგარეთს ხელში ჩაუგდეს 200 ზარბაზანი, 55 ათასი თოფი და ყოველგვარი საომარი მოკაზმულობა. ამას გარდა მთელი ერთი კორპუსი საომრად გამზადებულ ჯარისა გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდათ. კალოგერაპულოსის სამინისტროც ისეთივე ყურმოჭრილი ყმა იქნება მეფე კონსტანტინესი, როგორც მისი წინა მოადგილე სამინისტროები.

### პროტოპოპოვი

„რუსკ. ვედომოს." სწერს: პროტოპოპოვის დანიშვნის შესახებ, დეპუტატთა წრეებში დიდი მითქმა-მოთქმაა. დეპუტატები განურჩევლად მიმართულებისა ჰკვირობენ, როგორ იტვირთა პროტოპოპოვმა შინაურ პოლიტიკის მეთაურობა, როდესაც ამ საქმეს იგი ნაკლებ იყო გაცნობილი. მათი აზრით, პროტოპოპოვის დანიშვნა საზოგადოებაში უკმაყოფილებას გამოიწვევს, რადგანაც მისი სახელი ბანკების წრეებთან არის დაკავშირებული. პროგრესისტთა ბლოკის დეპუტატების აზრით, პროტოპოპოვს შტიურმერისაგან არ უნდა მიეღო თანამდებობა, მით უფრო, რომ წამოყენებულია საკითხი სამინისტროს ნდობის შესახებ. გარდა ამისა, ბლოკის ძიზანია, რომლის წევრადაც პროტოპოპოვია, ებრძოლოს სამინისტროს, უფრო კი შტიურმერს. ამის შემდეგ გასაკვირველია პროტოპოპოვმა როგორ იკისრა სამინისტროში შესვლა.

### შუმსკის აზრი.

რუმინეთის მთავრობამ უკვე ჯარში გაიწვია 1917 წელს გასაწვევნი. ამის გამო შუმსკი სწერს: ისტორიულმა გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ახალგაზრდობისაგან შემდგარი ჯარი სჯობია, ხნიერებისაგან შემდგარს. რუმინეთმა კარგად გაითვალისწინა სხვათა გამოცდილება. ეხლა რუმინეთის მომქმედ ჯარში კანონით, 38 წლისაზე მეტისანი არ ირიცხებიან. დანარჩენნი მილიციაში არიან ჩარიცხულნი და ქვეყნის შინაურს საქმეებს ემსახურებიან. ამ მხრივ სხვა ქვეყნებთან შედარებით, რუმინეთს ყველაზე ახალგაზრდა ჯარი ჰყავს.

### ესპანეთში.

მადრიდიდან ცნობაა: ესპანეთის პრემიერ მინისტრს რომანონესს სანაოსნო ამხანაგობებმა განუცხადეს: თუ მთავრობა ჩვენს ნაოსნობას გერმანელების წყალქვეშათა თარეშისაგან არ დაიფარავს, ნაოსნობას მთლად შევაჩერებთო. რომანონესი დაემუქრა, თუ ნაოსნობა შეაჩერეთ, მთელს სავაჭრო გემებს სამხედრო ფლოტში ჩავრიცხავო.

### ტისას განცხადება.

უნგრეთის პარლამენტში გრაფმა ტისამ განაცხადა: ტრანსილვანიაში ჯარის თავის მოყრა დასრულდა. ეხლა თავხედ რუმინელებს ჰკუას ვასწავლითო.

შუმსკის აზრით ტრანსილვანიაში 700 ათასი მეომარი არ ეყოლებათ მოპირდაპირეებსაო.

## ომი და შვეიცარია

ნეიტრალად მყოფი სახელმწიფოები ამ ბოლო დროს ხმას იმაღლებენ. ეს ხმის ამოღება თანდათან ძლიერდება მას შემდეგ, რაც რუმინეთი ბრძოლაში ჩაერია. შვეციამ თავის დროს განაცხადა: დრო არის რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩავერიოთ, თორემ შესაფერ მომენტს ვეღარ ვნახავთო. ამ ხმას შვეიცარიაც შეუერთდა, განსაკუთრებით ის კანტონები, სადაც გერმანელები მოსახლეობენ. შვეიცარიელი გაზეთები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ მებრძოლ სახელმწიფოთა გავლენის ქვეშ იმყოფებიან და ამ გავლენის გამო შვეიცარიელი ხალხის ინტერესი იხაგრება. ამის გამო შვეიცარიაში დაარსებულა „სამხედრო პარტია", რომელიც ასე თუ ისე გერმანეთისკენ იხრება. ამ პარტიას მოლაპარაკება აქვს ინგლისის და გერმანეთის მთავრობასთან და ეს მოლაპარაკება საიდუმლოდ რჩება.

საქმე იმაში ყოფილა, რომ თურმე საფრანგეთი და ინგლისი ამერიკაში ნაყიდ საქონელს შვეიცარიაზე ატარებდა იმ პირობით, რომ ეს საქონელი გერმანეთისთვის არ გადაეცა. ამის საკონტროლოდ შვეიცარიაში კომისიაც ყოფილა. მეორე მხრით გერმანია შვეიცარიას აძლევს ნახშირს, რკინას და სხვა საქონელს იმ პირობით, რომ შვეიცარიამაც გერმანეთს სამაგიერო მიუზღოს, რაც კი გერმანეთს დასჭირდება. ასე გრძელდებოდა, ვიდრე გერმანეთმა არ მოსთხოვა განსაკუთრებულ ნოტით, რომ იგი ნაკლებ კონპენსაციას იღებს და დაემუქრა, რომ შემდეგში ნახშირს და რკინას აღარ მოგაწვდი, თუ საჭირო საქონლის გადმოზიდვას არ მომიმატებო. შვეიცარიას ოკეანეს გადაღმა კუთხეებიდან უნდა მიეწოდებინა, რაიც მოკავშირეებისაგან უარყოფილ იქნა.

ამ მოთხოვნილებასთან ერთად გერმანეთის აგენტებმა შვეიცარიაში მუშაობა განაცხოველეს და აგიტაციას იწეოდნენ. ამ აგიტაციამ ნაყოფი გამოიღო.

შვეიცარიის ერთი გაზეთი არჩევს რა ზემო აღნიშნულ მოლაპარაკების შედეგს, დასძენს: მოკავშირე საბჭოს უნდა მოეგროვებინა ჯარი და იარაღით ხელში გაემართა მოლაპარაკება ორივე სახელმწიფოს წარმომადგენლებთან. თუ ისინი არ დასთანხმდებოდნენ, მაშინ ჯარი გასულიყო საფრანგეთის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ საქონელს თავისუფლად არ გაუშვებდა და გერმანეთის წინააღმდეგ, თუ ის კვლავ აღარ მოგვაწვდიდა ნახშირს და რკინასაო".

ბოლოს გაზეთი გერმანოფილურად ათავებს: „იქნებ დამაკმაყოფილებელიც იქნებოდა, თუ დასავლეთ მოკავშირე სახელმწიფოებს გამოვუცხადებთ ომსაო."

ამ წერილმა მთელი შვეიცარიის ყურადღება მიიპყრო. მეორე დღეს პოლკოვნიკი დე-ლუა—შვეიცარიის არმიის მეორე დივიზიის უფროსი სწერს: „მაშ რა ჯანაბად გვინდა ჯარი, თუ კი შიშით შეპყრობილნი გარეშე სახელმწიფოების გავლენას დავექვემდებარებით? შვეიცარიის არმია და ოფიცრები ერთის აზრისანი ვართ: იქ გავჩნდებით, სადაც მოგვიწოდებენო".

## უკანასკნელი დეპეშები

**შვეიცარიაში გერმანეთის სოციალისტების კონფერენციაზე შაიდემანმა განაცხადა: გერმანეთი ამ ჟამად უწინდელებრ კარგ პირობებში ვერ არის. კანცლერმა უნდა რეიხსტაგში განაცხადოს უანექსიოდ ზავი ჩამოვაგდოთო.**

**მომავალ წლის თიბათვემდე ინგლისელები ფიქრობენ ერთი მილიონი ჯარი მოკრიფონ მოთადარიგე ჯარის შესავსებად.**

**საბერძნეთში ამ ჟამად დიდი ამბები ჰხდება. გაზეთების და დეპეშების ცნობით მეფე კონსტანტინეს პოლიტიკა გერმანეთისკენ არის გადახრილი. საბერძნეთის მცხოვრებნი, ჯარი, და ფლოტი ორ ბანაკად გაიყო. ერთი ემხრობა მოკავშირეებს და მეორე გერმანეთ-ავსტრიას. სახელმწიფო მოღვაწე ვენიზელოსი კრიტის კუნძულზე გაიქცა. იქ მ ს განუცხადებია: თუ მთავრობა ძველს პოლიტიკას დაადგა, იძულებული ვიქნებით ხალხმა თავის ბედს თვითონ ეპატრონოსო. მეფე კონსტანტინემ შეაქო ის ოფიცრები, რომელთაც გერმანელებს კავალა და სხვა სიმაგრეები ჩააბარეს.**

**უცხოეთის გაზეთების ცნობით საბერძნეთის მეფეს ვენიზელოსი თავის სურვილის წინააღმდეგ განსაცდელიდან იხსნისო.**

**საბერძნეთმა გერმანეთს მოსთხოვა ის კორპუსი, რომელიც ტყვედ იქმნა ჩაერდნილი. გერმანეთმა თანხმობა გამოაცხადა იმ პირობით, თუ განთავისუფლებულ კორპუსს მოკავშირეები ხელში არ ჩაიგდებენ ან და არ დასჯიანო.**

**დიპლომატიურ წრეებში დაბეჯითებით ამბობენ: ამ მოკლე ხანში საბერძნეთი ერთ-ერთ მხარეს უნდა მიემხროს და აუცილებლად ომში ჩაერიოსო.**

**გერმანეთში დიდი ზეიმია იმის გამო, რომ გერმანელების წყალქვეშა ნავმა ინგლისელების ბლოკადა გაარღვია და ამერიკაში მივიდა.**

**გერმანეთ-ავსტრიას დიდძალი ჯარი აღმოსავლეთის ფრონტზე გადმოუყვანია. ჯარი განსაკუთრებით გერმანელებისაგან შესდგება.**

**საბერძნეთის თითქმის ყველა აფიცრებმა განაცხადეს: 17 ენკენისთვემდე დავუცდით მეფის გარდაწყვეტილებასაო. ეს ვადა დანიშნული ჰქონდა დროებით მთავრობასაც.**

**ფინლიანდიაში ქაღალდის ხარჯების გადიდებისა და სიძვირის გამო დიდი გაზეთების ხელის მოწერის ფასმა 25—30 პროცენტით იმატა. ამის და გვარად ხელზე გასაყიდსაც მოუმატეს.**

**„რუსკ. ვედომოსტი" იტყობინება: განზრახულია პირველ და მეორე ხარისხის მოთადარიგენი, რომელნიც კი დღემდე არ გაუწვევიათ, ენკენისთვის 20-ში გაიწვიონო.**

## ვალ. ლ. გუნია

**ვალ. გუნიას ავადმყოფობა სამწუხაროდ დღითი-დღე რთულდება. გუშინ წინ იძულებულნი იყვნენ ცნობილ ექიმთა კონსილიუმი მიეწვიათ — გასინჯეს ავადმყოფი: ბ-ნ ივ. გომართელმა, ვ. მუხაძემ, ს. ვირსალაძემ და შ. მიქელაძემ. ავადმყოფი აღმოჩნდა უკიდურეს ზომამდე დასუსტებული და დაუძლურებული. ექიმობა და ყოველ დღიური თვალ-ყურის დევნა თავაზიანად იკისრა თავის თავზე ივანე გომართელმა.**

**წუხელ ძვირფასი ავადმყოფი უკიდურესს მდგომარეობაში ყოფილა. დღეს დილით ცოტა უკეთ არის. მდგომარეობა საშიშია, მაგრამ უნუგეშო არ არის. ავადმყოფს ბევრი ნაცნობ-მეგობრები ნახულობენ და ანუგეშებენ.**

## ახალი ამბავი

◆ პეტრ. დეპ. სააგენტო გადმოგვცემს: უმაღლესის ბრძანებით, შინაგან საქმეთა მინისტრი სენატორი ხვოსტოვი თანამდებობიდან განთავისუფლებულია. მის მოადგილედ დანიშნეს სიმბირსკის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლი დეისტ. სტ. სოვ. პროტოპოპოვი.

### სასახლეში.

◆ მეფის ნაცვალს სადარბაზოდ წარუდგა ცხენოსან ჯარის პოლკოვნიკი ამაშუყელი, რომელიც დარბაზობის შემდეგ მიწვეულ იქმნა საუზმეზე.

### ქართული დაწესებულებანი

მოვაგონებთ პატივცემულ მკითხველებს, რომ დღეს (სამშაბათს) სამეურნეო ბანკის დარბაზში საღამოს რვა საათისათვის დანიშნულია **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა წლიური კრება.** კრების საგანია: 1) ე. ს. თაყაიშვილის მოხსენება ლეჩხუმის ზოგიერთ ეკლესიათა შესახებ. 2) საზოგადოების 1915 წლის მოქმედებისა და შემოსავალ-გასავლის ანგარიში. 3) სარევიზიო კომისიის აქტი. 4) სავარაუდო აღრიცხვა 1916 წლის შემოსავალ-გასავლისა. 5) საკითხი აკაკი წერეთლის საფლავის შესახებ. 6) ახალ წევრთა არჩევანი. 7) არჩევა საბჭოს წევრთა, სარევიზიო კომისიისა და მათის კანდიდატებისა. კრებაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

◆ **ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას** სთხოვს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭო, შეაგროვოს და დაამუშაოს მასალები შესახებ ხალხის გამოკვებისა, სათესლეს მოპოვებისა, სამეურნეო იარაღებისა, ნუშა ხელისა და სხ. ეს მასალა უნდა წარუდგინონ ამიერ კავკასიის სოფლის მეურნეთა და კოოპერატივებისა და სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა წარმომადგენლების კრებას, რომელიც, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების თანხმობით მოწვეული არიან სათათბიროდ არა უგვიანეს 22 ლვინობისთვისა.

◆ **საპატიო წევრი.** დიდი ბრიტანიის კონსულის ოლივერ უარდროპისაგან ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ მიიღო 100 მანეთი მუდმივ წევრობის გადასახადი. ბ. ოლივერი განსვენებულ მარჯორი უარდროპის ძმა არის.

◆ **ფულით დახმარება.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ 6000 მანეთი მიიღო ომში დაზარალებულთა დამხმარე კავკასიის მთავარ კომიტეტისაგან.

◆ **ს. უდეს სკოლის** (ახალც. მაზ.), მასწავლებლად დაინიშნა სოფიო ივანეს ასული მეფარიძისა, ქუთაისის ეპარქიალურ სასწავლებელში სწავლა დამთავრებული.

◆ **ყულაბებით ფულის მოგროვება.** ქ. საქველმოქ. საზოგადოების გამგეობას თბ. გუბერნატორმა ნება დართო 27 ენკენისთვეს ქ. თბილისში ყულაბებით ფული მოაგროვოს თვის ქონების გასაძლიერებლად.

### სომეხთა შორის.

◆ **სომეხთა „ძმური დახმარება"** ამ მცირე ხანში აპირებს დაარსოს გამოქცეულ სომეხთა შვილებისათვის 12 სკოლა, რომლებშიაც 2910 სული ისწავლის.

◆ კ. მ. ალიხანოვმა 2,000 მან. შესწირა სომეხ მწერალთა საზოგადოებას.

### სხვა და სხვა ამბები.

◆ **მთ. დიაკ. სლადკოპევცევის გარდაცვლა.** დიდუბის ტაძრის ყოფილი მთავარ დიაკონი გარდაცვლილა მოსკოვში ღვინის მაგიერ სუროგატის დალევის შემდეგ. ამ სასმლის მიმწოდებელი საწყობის პატრონი კუზმინი პატიმრობაშია მიცემული. მთ. დიაკ. სლადკოპევცევს კარგად იცნობდა თბ. საზოგადოება და ერთ დროს დიდი აურზაურიც ატყდა პრესაში მის საგმირო საქმეების შესახებ.

◆ **ხ. ლ. ჯილაური.** ქ საქ. საზოგად. აჭარის ს ხელოსნო სკოლის მასწავლებელი ზეინკალი სიმონ ლაზარის ძე ჯილაური გარდაცვლილა. განსვენებული სამაგალითო მასწავლებლად ითვლებოდა და საერთო პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული.

◆ **გვამის პოვნა.** თბ. გუბერნატორის კანცელარიას ატყობინებენ, რომ ს. ს. ხონისსა და აბელისს შუა თბ. მაზრაში უპოვიათ გვამი უცნობ ებრაელისა გულში ტყვია ნაკრავი. განსვენებული 47 წლისა იქნება დაახლოებით. ჯიბეში ებრაულ ენაზე დავთარი აღმოაჩნდა. იგი უნახავთ წითელ ცხენით მიმავალი ფარჩეულობით და საფართლო საქონლით დატვირთული.

◆ **სხეულის დასახიჩრება.** თბ. გუბერნატორის კანცელარიას ატყობინებენ, რომ ახალციხეში დაუპატიმრებიათ ადგილობრივი მცხოვრები ისრაელი ა. ე. ხოხალი როცა იგი ჯარის კაცს უპირებდა კან ქვეშ შეშვებას რიღაც სითხისას, ჯარში გაწვევისაგან გასანთავისუფლებლად. როგორც გამოირკვა დამნაშავე დიდი ხანია ამ ხელობას მისდევს და ორი კაცი უკვე გარდაცვლილა მის წამლისაგან. ბინაზე აღმოაჩინეს ბევრი წამლის შუშები, შპრიცი და რევოლვერი პატრონებით.

◆ **ფულის დაკარგვა.** სტამბა „შრომის" პატრონს ვ. ბოლქვაძეს რკინის გზის სადგურზე ვიღაცამ 1.900 მან. ამოაცალა ჯიბიდან.

◆ **თბილისის საზოგადო კლუბს** ზამთრისათვის ბინა არ ჰქონია. კლუბის ადმინისტრაციამ საკოოპერაციო სასადილოს ადმინისტრაციას სთხოვა დარბაზი, მაგრამ უარი მიიღო. ეხლა კლუბის ადმინისტრაცია სემინარიის ძველ შენობაში აპირებს 1 დიდი ოთახის დაქირავებას. აქაც თუ ვერას გახდა, ზამთარში უბინოდ დარჩება.

◆ **ტრამვაის გარშემო.** 29 ამა თვისათვის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია გასარჩევად ქალაქის თვითმართველობის და ბელგიის უ/ა ხელო საზოგადოების საქმე ტრამვაის შესახებ რადგან ამ დროისათვის თბილისში ჩამოსვლა არ შეუძლიან ქალაქის რწმუნებულს ნაფიც ვექილს ნ. ვ. ტესლენკოს, ქალაქის გამგეობამ უსახელო საზოგადოების მთავარ რწმუნებულთან, ე. ბ. რასინთან, შეთანხმებით სთხოვა სამოსამართლო პალატას, რომ საქმის გარჩევა სხვა დროისათვის გადასდვას.

◆ **ვ. ბარნოვის მოთხრობა.** რედაქციამ მიიღო ცნობილ ბელეტრისტის, ვ. ბარნოვის ახალი მოზრდილი ხელთნაწერი მოთხრობა „ფეხი იბრუნა", რომელიც ამ მოკლე ხანში ჩვენს გაზეთში დაისტამბება.

◆ **საქართველოს ეგზარხოსი ბორჯომს გაემგზავრა.**

◆ **ხევსურთა დეპუტაცია.** თბილისის გუბერნატორს წარუდგა დეპუტაცია ხევსურეთის 4 სოფლის საზოგადოებისა: ბარისახოსი, ხახმატისა, ბაცალიგოსი და როშკისა. დეპუტაციას თარჯიმნად თან ახლდა ქ. საქველმოქ. საზ. წარმომადგენელი დ. გ. ცერცვაძე. დეპუტაციამ დაწვრილებით აუხსნა გუბერნატორს თავისი გასაჭირი, აუწყა, რომ მუშაობა მთაში ჯერ ეხლა იწყება და მუშა ხელი-კი აღარავინ რჩება, თუ ლურჯ ბილეთიანებიც გაიყვანეთო, მით უმეტეს, რომ ამ ბილეთიანთა რიცხვი ძალიან მცირეა, სულ ორმოცი-და-ოთხ კაცამდე, და ეს რიცხვი კი რუსეთის ლაშქრისთვის არაფერს შეადგენს, მათთვის კი დიდ ნუგეშს წარმოადგენს. გუბერნატორმა განუცხადა დეპუტატებს, რომ იგი თანაუგრძნობს მათ გაჭირებულ მდგომარეობას და ეცდება მეფის ნაცვლის თანაშემწის, თ-დ ორლოვის შემწეობით შეუმსუბუქოს მათ სამხედრო სამსახურის მოხდა. იმას მაინც მოახერხებს, რომ იგინი სამსახურში გაყვანის შემდეგ ადგილობრივ იქმნენ დატოვებულნი დარაჯთა ან სხვაგვარ მსახურთა სახით. იარაღის მიცემაზე ქისტებისაგან თავის დასაცავად, გუბერნატორმა სრული თანხმობა განუცხადა, ოღონდ მოსთხოვა მომრიგებელ შუამავლის შემწეობით წარმოადგინონ სოფლის ყრილობებზე შემდგარ საიმედოვნო პირთა სიები და თვითეულ პირს ცალკე მიეცემა იარაღიო. საზოგადოთ დეპუტაცია ძლიერ გაამხნევა გუბერნატორმა თავისი ნუგეშით და დაპირებით.

◆ **სტიპენდიების განაწილება.** ქ. შ. წ. კ. გ. ს. გამგეობა დღეს ანაწილებს 5 სტიპენდიას დ. ზ. სარაჯიშვილის სახელობისა 100 მთხოვნელთა შორის.

**დაჭრილ მეომართა ევაკუაცია.** გუშინ ჩრდილო კავკასიაში გაამგზავრეს 700 დაჭრილი დაავადებული მხედარი თბილისის საავადმყოფოებიდან.

◆ **ხ. ნ. ვორონოვის სასცენოსტუდიაში დაიწყო მეცადინეობა.** პირველ ჯგუფში ჩაეწერა 20 კაცი და ქალი. არიან სომხები და ქართველები; უმრავლესობა ემზადება რუსულ სცენისთვის, მაგრამ ეს სტუდია იმ მიზნით იყო დაარსებული, რომ მშობლიურ სცენისთვის აღეზარდნათ მსახიობნი. იმედია ქართველები ისარგებლებენ ამ გარემოებით და შეეცდებიან ქართულ სცენისთვის მოემზადნენ.

◆ **პანაშვიდი.** გუშინ ორის ნახევარზე მასწავლებლებისა და მოწაფეების თანდასწრებით გადახდილ იქნა პანაშვიდი განსვენებულის ყოფილი მასწავლებლის ალექსანდრე ივანეს-ძე ნათაძის სულის მოსახსენებლად.

◆ **ფუნიკულერის მოძრაობა** სადაგ დღეებში დღეიდან ისპობა ანტრაციტის სიმცირის გამო. მოძრაობა მხოლოდ კვირა - უქმ დღეებში იქმნება წარმოებული.

◆ **ბულაჩაურის წყაროების დათვალიერება.** დაბრუნდა საგანგებო კომისია, რომელიც კვირას 18 ენკენისთვეს გაემგზავრა ბულაჩაურს იქაურ წყაროების დასათვალიერებლად. კომისიის აზრით ეს წყაროები მეტად ხელსაყრელია ქალაქის წყალსაყვანისთვის და ერთი 50 წლით მაინც უზრუნველ იქნება ამ წყაროებით.

◆ **დეპუტაცია.** გუშინ ქალაქის მოურავს წარუდგა დეპუტაცია სასტუმრო-რესტორანების საზოგადოების წევრთა მიერ არჩეულნი. დეპუტაციაში იყვნენ: ს. ნ. სხირტლაძე, ტ. გ. ფარსეგოვი, დ. ს. მაჭავარიანი, ნ. გ. სიხარულიძე, ი. გ. ლხანაშვილი. დეპუტაციამ იშუამდგომლა: 1) სტრაქტირო გადასახადის 124280 მან. შემცირება 80 ათას მანეთამდე. 2) განთავისუფლება სტრაქტირო გადასახადისაგან იმ სასტუმროებისა, სადაც მაგარ სასმელებს და ცხელ კერძებს არ ინახავენ და 3) შაქრის მისაღებად რიგს გარეშე ვაგონების დათმობა. ბ. ხატისოვმა ყველა თხოვნა დააკმაყოფილა და სთხოვა ყოველგვარ თხოვნით პირდაპირ მას მიმართონ ხოლმე.

◆ **ნაძალადევის მცხოვრებთა** მიწის მფლობელობის იჯარა 1 იანვარს თავდება. ამის გამო ამ ჟამად ქალაქის კასაში მცხოვრებთ უნდა შეიტანონ საიჯარო გადასახადი, რომ უფლებანი არ დაკარგონ.

### ქუთაისი.

◆ **როგორც მკითხველებს ეხსომებათ,** მაისში ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა ჩვეულებრივმა კრებამ, შუამდგომლობა აღძრა სათანადო მმართველობის წინაშე, რათა თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულო ნება მისცემოდა, გუბერნიის თავად-აზნაურობაზე ზედმეტი გადასახადის დადებისა. განზრახული იყო 600,000 მანეთით დაეგვრა თავ.-აზნაურობისა. როგორც გადმოგვცემენ, მეფის მოადგილის კანცელარიას ზემო აღნიშნული შუამდგომლობა დაუსაბუთებლად უცვნია და უკან დაუბრუნებია.

◆ **დრამატიულ საზოგადოების გამგეობას,** 13 სექტემბერს, სხდომა ჰქონდა. გამგეობამ მსჯელობა იქონია სხვა და სხვა საკითხებზე, რომელთა რორის საყურადღებოა დასის ახალი ძალით შევსება, რეჟისურა, თეატრის ბილეთებზე ფასების მომატება და მოსამსახურეების თხოვნა ჯამაგირების მომატების შესახებ. გადაწყდა მოიწვიონ ქ-ნი ქილარჯიშვილი. ქ-ნი ეფემია მესხის ასული თვეში მხოლოდ რამოდენიმეჯერ ითამაშებს. ბენეფისი ექნებათ ქალებში ქ-6 მესხისა და ნ. ჩხეიძის ასულთ, კაცებში მხოლოდ ალ. იმედაშვილს. სამხედრო გადასახადის გადიდების გამო გადაწყდა ბილეთებზე ფასები მოიმატონ. სეზონი გაიხსნება ... „მთის ზღაპარით". ადგილები ექნებათ მხოლოდ გაზეთ „ჩვენი მეგობრის" და „სამშობლოს" წარმომადგენლებს. რაც შეეხება მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატებას, რადგან ჩვეულებრივ კრებაზე ყველას ჯამაგირები გაუდიდეს, ამ ჟამად გამგეობამ შეუძლებლად სცნო უსახსრობის გამო, მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. რეჟისორებათ იქნებიან ალ. იმედაშვილი და აკ. ფალავა.

### გურია.

5 სექტემბრიდან 17-მდე თითქმის გამუდმებით წვიმდა. სიმინდის კრეფატეხა და რთველი შეაჩერა, ყურძენი დააზარალა. 17 გამოიდარა და თუ ამინდი არ შეიცვალა ჰირნახულის მოკრეფას შეუდგებიან.

### ცხინვალი.

დაბა ცხინვალში მომხდარი ახალი ამბავი: წუხელის გატეხეს იოსებ კასრაძის მაღაზია, წაიღეს ას ოცდა თხუთმეტი თუმნის საქონელი.

### ხონი.

ყურძნის შემოტანა სოფლებიდან უკვე დაიწყო. ყურძენი მდარე ხარისხისაა და ფუთი იყიდება 3 მან. 50 კაპ.—4 მანეთამდე.

— სხვა და სხვა მიზეზების გამო პროფესიონალური სკოლა, რომელიც უნდა გახსნილიყო პირველ ენკენისთვეს, გაიხსნება 20 ენკენისთვეს. ბავშვები მიიღება არა ნაკლებ 12 წლისა. სკოლისათვის საჭიროა გამოცდილი მასწავლებელი.

— აქ არც ერთ სანოვაგეზე ნიხრი არ არსებობს. წინად იყო გამოკრული თვიური ნიხრი, მაგრამ, დღეს არც ის არსებობს.

## პური თუ საწამლავი?

ეს 12 დღეა მთელი თბილისი განიცდის საშინელ გაჭირვებას: **პური არ არის...** პურის მოვაჭრენი სარგებლობენ ამით და ჰყიდიან მეპურეებზე დამპალ, დამწარებულ ფქვილს და უვარგის ქატოს, რომელიც პირუტყვსაც-კი არ ეკმევა. მეფურნეებიც ა-ე-ბა თი პურით უმასპინძლდებიან დამშეულ ხალხს და აწვდიან მთელი საათობით ლოდინის შემდეგ პურის ნაცვლად რაღაც ცომს, აშმორებულს წიგას, შხამსა და საწამლავს. დამშეული ხალხი სჭამს ამ საშინელ სუროგატს და იწამლება, იწამლება ცოლ-შვილით, იწამლება უმანკო ბავშვები...

და ეს საშინელი ბარბაროსობა ხდება სადმე შორს, მიყრუებულ კუთხეში კი არა, არამედ აქ, უუმთავრეს ცენტრში, საქართველოს და მთელი კავკასიის დედა-ქალაქში უზენაეს ადმინისტრაციის, ქალაქის გამგეობის, პრესის და ინტელიგენციის თვალ-წინ..

და ყველა თითქოს სდუმს, გულგრილად უმზერს, თუ როგორ იწამლება, როგორ იტანჯება ნახევარი მილიონი უპატრონო ხალხი, როგორ იწამლება ან თვითონ თავის ცოლ-შვილით და ამავე დროს როგორ იგებენ მილიონებს მადა აღძრული და სინდისდაკარგული პურის მოვაჭრე სპეკულიანტები..

და ეს სატანური მანქანება, ეს ხალხის მასსიური ტანჯვა-წვალება დაფარული ნივთიერი გაფცქვნა ჯერაც არ დამთავრებულა! ჯერ კიდევ გრძელდება კუდებია ფურნეებთან გაჩერებული, ჯერ კიდევ ყიდულობს ხალხი პურის ნაცვლად ნამდვილ საწამლავს, რომ რითიმე მაინც ამოივსოს მშიერი კუჭი...

არ ვიცით თუ როდემდე გასტანს ეს მასსიური წამება, რომლის მსგავსი არ მოუგონია თვით უსაშინელეს ინკვიზიციას!

გაიხარე ტორკვემადოს ლანდო! შენ ჰპოვე მეოცე საუკუნეში ღირსეული მემკვიდრე!.

მშიერი ბავშვები, მტირალი მშობლები, გაწამებული მამები, ილაჯგამოცლილი მოხუცნი და უძლური სნეულნი, აი რა გულსაკლავი სურათები ფურნეებთან მთელი დღეობით! და ამ დამშეულ ხალხთა გროვას აწვდიან პურის სახით სკ ქვას, არა, კიდევ უარეს, **ცომს, აშმორებულს, შავ აზელილ ნაგავს, კუჭის და მთელი სხეულის გამხრწნელ საწამლავს** და ამ საზარელ სურათის მჭვრეტი მუდამ დღე გრძნობიერი ადამიანი...

ბევრი რამ საშინელება წარმოშვა ამ ჯოჯოხეთურმა მსოფლიო ომმა, დიდი, უამრავი ზიანი მიაყენა მან მთელს ევროპას, მაგრამ ასეთი რამ ვგონებ, არ განუცდია აქამდე არც ერთ მხარეს.—ნუ თუ მართლა ამოიშოვება რიგიანი პურის ფქვილი?! თუ გამოილია რუსეთში პური?!

...არა, პური ბევრია, ძლიერ ბევრი. სამხრეთ რუსეთის მინდვრებში და ჩრდილო კავკასიაში ლპება პურის ზვინები; პური მილიონ ფუთობით გადის არა სასურველ ადგილებში, როსტოვ-ეკატერინოდარის ელევატორები და დიდი წისქვილები სავსეა ხორბლით და ფქვილით, მაგრამ ჩვენ მაინც პური არა გვაქვს და პერიოდულათ განვიცდით შიმშილს და მოწამვლას...

რათა?! რისთვის?! რატომ იტანჯება და იწამლება ნახევარი მილიონი ხალხი?! რატომ მდიდრდება ხალხის ოფლით ერთი მუჭა ვაჭარ-სპეკულიანტები და მექრთამე პირები?! რატომ მალავენ პურის ფქვილს ნესტიან სარდაფებში და ყიდიან ჩუმათ აწეულ ფასებში?! რათ აძლევს ქალაქის გამგეობა და ადმინისტრაცია ნებას, რომ ჩამოიტანონ ქალაქსა და პროვინციებში რუსეთიდან უვარგისი პურის ფქვილი, მეტადრე ახლა, როცა ასე ძნელია გადმოზიდვა?! რატომ ქმნიან ხელოვნურად დროგამოშვებით პურის კრიზისს ნიხრის მოსამატებლად და ხალხის გასაფცქვნელათ?! რათ არ აქცევენ ამ ველურს, სამარცხვინო მოვლენას ყურადღებას ადგილობრივი ადმინისტრაცია და ქალ. გამგეობა?! აი, ის მწვავე საკითხები, რასაც უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება პრესამ და საერთოთ ხალხის მესვეურებმა!

დროა მოეღოს ბოლო უმწეო ხალხის ამდენ ტანჯვას და ამდენ წამებას! დროა შეწყდეს დედის ცრემლები და მშიერი ბავშვების მწარე ყივილი!...

**რიონელი.**

## ერობა ჩვენში

**კავკასიის საიმპერატორო-სამეურნეო საზოგადოებაში.**

(14 ენკენისთვის კრება)

(შემდეგი)

განახლებულ კრებაზე დაიწყო კამათი ბ-ნ რუევსკის მოხსენების გამო.

**ე. სულთანოვი** ამტკიცებს იმ აზრის სიყალბეს, ვითომ სომეხ-თათართა უთანხმოება, შეურიგებელი მტრობა იყოს. ვითომ ქართველები და სომხები მოახერხებენ შერიგებას, სომხები და თათრები კი არასოდეს. ისტორიული ფაქტები ასეთს დასკვნას არ ეთანხმებიან. 1905 წელს მომხდარი სომეხ-თათართა ჟლეტა პროვოკაციის ნაყოფი იყო. მომხსენებელს ეს არ გაუთვალისწინებია, კითხვას ხეირიანად არ გასცნობია და ამიტომაცა სცდება.

**ვ. ა. რუევსკი.** სიტყვა „მტრობა“ მე არ მითქვამს. მე მხოლოდ კულტურის სხვა და სხვაობაზე ვლაპარაკობდი. ახლაც იმ აზრისა ვარ, რომ თუ ორ ერის წარმომადგენელთა შორის არსებითი კულტურული განსხვავება სუფევს, ერთს საერობო ერთეულში მათი მოთავსება შეუძლებელია, აქ ისინი ერთმანეთს შეეხლებიან. დეე ისევ თვითეული კულტურა ცალკ-ცალკე განვითარდეს.

**ა. ი. ხატისოვი** ხაზს უსვამს მოხსენებაში მოთხრობილ ცნობებს, რომ სახელმწიფო სათათბიროში ერობის ახალი პროექტი შეუმუშავებიათ და ეს პროექტი ბევრით უფრო მოწინავე ყოფილა, ვიდრე არსებული (1890 წ.) საერობო დებულება. ამის დაკვალად ორატორი სთხოვს მომხსენებელს განუმარტოს კრებას: რა პირობებში უფრო მალე გაივლის კავკასიის ერობის პროექტი—1890 წლის დებულების უცვლელად განხორციელება რომ ვითხოვოთ თუ ისეთი პროექტი, რომელიც უფრო შეეფერება სახელმწიფო სათათბიროს კომისიის მიერ შემუშავებულ საერობო პროექტს. ამ კითხვაზე პასუხის მოცემა მით უმეტეს საჭიროა, რომ გაზაფხულზედ თბილისში მომხდარ საერობო თათბირის უმრავლესობამ 1890 წლის დებულებას მარტოოდენ ტაქტიკურის მოსაზრებით დაუჭირა მხარი ხსენებულ კანონის უცვლელად შემოღებას, მარტო იმიტომ თხოულობდნენ, რომ რაც შეიძლება მალე მოეცათ ჩვენთვის ერობა. ბ. რუევსკიმ მთლად გაანადგურა თავის მოხსენებაში 1890 წლის კანონი, ნათელჰყო, რომ საკანონდებლო დაწესებულებებში მას თითქმის აღარავინ ემხრობა. ორატორი სიხარულით ეგებება ამ მოვლენას, როგორც მოხსენებაში აღნიშნულ მეორე გარემოებასაც, სახელდობრ, საერობო არჩევნების უწოდებრივობას, საარჩევნო უფლების საფუძვლად გადასახადის ცენზის (налоговый цензъ) აღიარებას. მხოლოდ ასეთის ცენზის განხორციელებით გაძლიერდებიან ერობაში ისეთი ელემენტები, რომლებიც ჰქმნიან კოოპერატიულს მოძრაობას. უამისოდ კი აუცილებელი იქნება კონფლიქტი ერობასა და კოოპერატივებს შორის.

**მ. ვ. მაჩაბელი:** მე ერთი იმათგანი ვარ, ვისაც ერობის შემოღება სწყურიან, მისი რაც შეიძლება მალე განხორციელება ენატრება და ბ. რუევსკის მოხსენებამ კი დამარწმუნა, რომ ერობას კიდევ დიდხანს ვერ ვეღირსებით. ბ. მომხსენებელი ბრძანებს, 1890 წლის დებულება დაძველდა, მას ძირითადი შეცვლა ესაჭიროება; გვპირდება, რუსეთში ეს ცვლილება მალე მოხდება და თქვენც მაშინ მოგცემთ ერობასაო... მაგრამ როდის შეიცვლება შიდა რუსეთში არსებული საერობო კანონი? და რუსეთში რომ მალე შეიცვალოს, ჩვენც მალე გვაღირსებენ?

ჩვენ ყველას ერთი რამა გვსურს: მოგვეცით 1890 წლის ერობა, ესე იგი ის, რაც დღეს რუსეთს აქვს. ჩვენ ისეთივე მოქალაქენი ვართ, როგორც შიდა რუსეთში მცხოვრებნი. ჩვენც მოვითმენთ რამდენიმე ხანს იმას, რასაც თქვენ ამდენ ხანს ითმენთ და ურიგდებით. ჩვენ თქვენთან ყველაფრით გათანასწორება გვინდა, ვთხოულობთ თქვენში არსებულ დაწესებულებას—კარგი იყოს ის თუნდ ავი. მოგვეცით დღეს ის, რაცა გაქვთ და თუ შემდეგ თქვენსას გააუმჯობესებთ, ჩვენსაც ისევე გააუმჯობესებთ. ამაზე ბუნებრივი და კანონიერი სურვილი შეიძლება? ჩვენა გვსურს პატარა შუქი მაინც გაუჩნდეს ჩვენს დაბეჩავებულს სოფელს, როგორც ეს რუსეთში არის. ქალაქები ამას ეწინააღმდეგებიან, მაგრამ იმათ რა! რაში უნდათ ერობა?! იმათ ხომ თავიანთი თვითმართველობა აქვთ!.. ისინი იმას არა კითხულობენ, კარგია თუ ავი ჩვენთვის მათი თვითმართველობა, ისეთივე ლიბერალურია თუ არა, როგორიც, მათის აზრით, ჩვენი ერობა უნდა იყოს!!.. (ძლიერი ტაში). ავად თუ კარგად ისინი თავისს საქმეებს თვითონვე განაგებენ, მათ თვითმართველობა აქვთ, მათ მოცდა შეუძლიანთ, მაგრამ სოფელს აღარ შეუძლიან მოცდა (ძლიერი ტაში).

მომხსენებელი ბრძანებს: კავკასიაში საერობო ცენზს მიწათმფლობელობაზე ვერ ავაშენებთ, რადგან თვით მიწათმფლობელობა გამოურკვეველიაო.. ბატონებო! ჩვენის ქვეყნის გამიჯვნა სამოციან წლების აქეთ სწარმოებს. მან ჩვენ კარგა ლაზათიანად დაგვსაჯა, მაგრამ ავად თუ კარგად საქმე დაბოლოვდა. დღეს ჩვენ ვიცით, რომელი მამული ვის მიაკუთვნეს. გადასახადს რომ ვიხდით, მიწისას არ ვიხდით?! (ტაში).

საერობო არჩევნებს რომ საფუძვლად გადასახადის ცენზი დავუდოთ, თვით ერობის სახე არსებითად შეიცვლება, უპირატესობა მიეცემა ვაჭართ და მრეწველთ. დღეს მათ ხელში მარტო ქალაქებია და რა ყოფაში ვართ! რა იქნება მაშინ, როდესაც სოფლის ბატონ-პატრონებიც ეგენი გახდებიან“ (ძლიერი ტაში).

მომხსენებელი სცდილობს თავისის პროექტით გაგვაკვირვოს... ვერ გაგვაკვირვებთ, ბატონებო, ვერა! თეორეტიულის პროექტების შემუშავება ჩვენ უკედ ვიცით (სიცილი, ტაში). თქვენ თქვენი ლიბერალიზმი ნუ გაგკვირებიათ. იგი ბევრით ჩამოუვარდება ჩვენს ნამუშევარს საერობო საკითხში. გადაათვალიერეთ ეს ნამუშევარი და დარწმუნდებით, რომ ეს ასეა.. თქვენ ჩვენ თავად-აზნაურობის იდეოლოგებს გვეძახით, დემოკრატიულ ელემენტების დაჩაგვრის სურვილსა გვწამებთ, მაგრამ იცოდეთ, რომ ჩვენ ერთ დესეტინიან ცენზის მომხრენი ვართ, თუ კი მას თქვენი სათათბირო არ გაუწინააღმდეგდება, ჩვენში დემოკრატიის წინააღმდეგი არავინ არის, ამ მხრივ ჩვენებური მემარჯვენეები თქვენებურ მემარცხენეებზე მარცხნივა სდგანან. ჩვენ მხოლოდ ერთს რასმე ვამბობთ, ერთი რამ გვაერთიანებს: რაც შეიძლება მალე მოგვეცით არსებული 1890 წლის ერობა და შემდეგ, თუ კი ამ კანონში რუსეთისათვის რამე ცვლილებას შეიტანთ, ჩვენშიაც შემოიღეთ ეს ცვლილება, მოგვანიჭეთ ის, როგორც რუსეთის სრულუფლებიან მოქალაქეთ (ძლიერი ხანგრძლივი ტაში).

**გ. ა. დემიდოვი** ყოვლად უსაფუძვლოდ სთვლის მომხსენებლის აზრს, რომ კავკასიაში ადგილობრივი პირობები ხელს უშლიან აქ სამაზრო ერობის განხორციელებას, როგორც ყველგან რუსეთში. მომხსენებელი არ იცნობს ადგილობრივ პირობებს და ამით თუ აიხსნება მისი დასკვნა. ამიერ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში შეუძლებელია სამაზრო ერობის განხორციელებაო. სამაზრო ერობის არსებობის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ იგი, სამაზრო ერობა, ყველგან არის მიღებული, მიუხედავად ადგილების, მცხოვრებთა და მათ ყოფა-ცხოვრების სხვადა სხვაობისა. მომხსენებლის აზრით სომეხ-თათართა კულტურული და ეროვნული სხვადასხვაობა შეუძლებლად ჰხდის ამ ორის ერის მოთავსებას ერთ საერობო ერთეულში, მაგრამ სწორედ ამ მიზეზისა გამო უნდა მივცეთ საშუალება სომხებს და მუსულმანებს ერთ ნიადაგზე იმოღვაწეონ. საერთო საქმეში ისინი უკეთ შეეთვისებიან ერთმანეთს, უკედ გაიცნობენ ერთი მეორეს, მათი დღევანდელი უთანხმოება განელდება, შემცირდება (ტაში).

სწორედ კულტურათა სხვადასხვაობა“, რომელზედაც მიგვითითა მომხსენებელმა, მოითხოვს თავმოყრას და და არა გათიშვას. საერობო საქმე მარტო სამეურნეო საქმე როდია. ერობას ერთი რამ დარგი როდი აბარია, ერობა იგი შენობაა, რომლის ჭერქვეშ მოთავსებულია სხვა და სხვა კულტურა, სხვა და სხვა დარგი საზოგადო ცხოვრებისა.

შემდეგ ორატორი შეეხო მომხსენებლის ორ დებულებას, რომელიც მას უფრო შემცდარად მიაჩნია, სახელდობრ, მცირე საერობო ერთეულის და ცენზის შესახებ.

მცირე საერობო ერთეულის განხორციელება ამ თავითვე შესაძლებელია. ჩვენი ხალხი მისთვის კულტურულად მომზადებულია. და თუ საერობო თათბირის უმრავლესობამ უარი სთქვა მცირე საერობო ერთეულზე, მხოლოდ ტაქტიკურის მოსაზრებით, რომ ხელი არ შეეშალა ერობის დაუყოვნებლივ შემოღებისათვის ჩვენში. უმრავლესობამ მხოლოდ სურვილი გამოსთქვა, რომ მცირე საერობო ერთეული შემოღებულ იქმნას ჩვენში მაშინ, როცა ის მთელი რუსეთისათვის დაკანონდება.

ცენზის საკითხში მომხსენებელმა დიდი შეუსაბამობა გამოიჩინა. სხვაგან ის ამბობდა: „**ეს ასე უნდა იყოს**, ეს საკითხი ასე უნდა გადასწყდეს“ და სხვ. აქ კი, როცა ცენზზე ჩამოაგდო სიტყვა, კილო შესცვალა და იმ შეხედულობის მიმდევარი გახდა, რომ „**ანგარიში უნდა გაუწიოთ**, გაივლის თუ არა ჩვენ მიერ საჭიროდ აღიარებული პრინციპი საკანონმდებლო დაწესებულებებშიო“. ეს შეუსაბამობაა, ულოღიკობა (ტაში)... კაცი უნდა ლოღიკურადა მსჯელობდეს, მისი აზრი ერთი მეორეს უნდა შეესაბამებოდეს. როცა ერთი აზრი არსებითად ეწინააღმდეგება მეორეს, ან ერთს აზრს უნდა ვადგეთ, ან მეორეს: ან საკითხის **საჭიროებით**, სასურველობით უნდა ვიხელმძღვანელოთ, ან მისის პრაქტიკულად განხორციელების **შესაძლებლობით**. პირველ შემთხვევაში ანგარიში უნდა გავუწიოთ იდეოლოგიას. მეორე შემთხვევაში—საზოგადო და პოლიტიკურ სფეროებში არსებულ განწყობილებას. მომხსენებელი კი სწორედ ამ საანბანო ჭეშმარიტებასა ჰლალატობს, ლოღიკურ აზროვნების უმთავრესს კანონს არღვევს. ჯერ იგი არა თუ იმ ზომის საჭიროებაზე ლაპარაკობდა, მარტოოდენ იმაზე ამყარებდა თავისს დასკვნას, თუ რამდენად სასურველია ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა საკითხისა, ახლა კი, როცა საქმე ცენზზე მიდგა, საკითხის კატეგორიულად, პრინციპიალურად გადაწყვეტას გზა უხვია და მარტოოდენ მისს პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობითა ხელმძღვანელობს. და ეს კი მით უფრო დამახასიათებელი მოვლენაა, რომ ცენზის საკითხი უმწვავესია ერობის შემოღებასთან დაკავშირებულ საკითხებ შორის. ვის ხელში იქნება საერობო საქმიანობა, ვისს გავლენას განიცდის უმეტესად საერობო დაწესებულება, ვინ იქნება ერობის პატრონი ეს მთლად დამოკიდებულია იმაზე. რა ფორმის ცენზი იქნება მიღებული, რა წესი დაკანონდება არჩევნებისათვის.

მომხსენებელმა ილაპარაკა ოთხ დიდ-ცენზიან საარჩევნო ჯგუფზე („კურიაზე“)· მაგრამ თუ-კი **საქმე ამა თუ იმ ცენზის სასურველობაზე მიდგა**, რატომ არა თქმულა·რა განათლების ცენზზე? განა ის უფრო საჭირო, არ არის მეტადრე იქ, საცა ხალხის უკულტურობაზე ლაპარაკობენ? (ძლიერი ტაში), **ხოლო თუ პრაქტიკულ შესაძლებლობით ვიხელმძღვანელებთ**, რათა გგონიათ, რომ სახელმწიფო-სათათბირო რუსეთისათვის არჩევნების ერთს სისტემას მიიღებს, კავკასიისათვის-კი მეორეს, შიდა გუბერნიებში მიწათმფლობელობის ცენზს დააკანონებს, ჩვენში-კი— გადასახადისას? (ტაში).

საჭიროა აზრი აზრს შეესაბამებოდეს—ან საჭიროება, ან შესაძლებლობა... თუ ერობა ეხლავე გვესაჭიროება, თუ საჭიროა მისი დაუყოვნებლივ განხორციელება, ანგარიში უნდა გაუწიოთ არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებს, საერობო რეფორმის შესაძლებლობაზე ვილაპარაკოთ. ხოლო თუ ჩვენთვის სულ ერთია, როდის მოგვცემენ ერობას—ათის წლის უკან თუ ასი წლის შემდეგ, მაშინ მარტო სასურველობაზე ვილაპარაკოთ (ძლიერი ტაში).

**ბ-ნი შახატუნიანცის** აზრით 1890 წლის ერობის დამცველნი ორპირობას იჩენენ, ორნაირ არგუმენტობით იცავენ ამ კანონს—იმისდა მიხედვით, სად უხდებათ ლაპარაკი. როდესაც რუსეთის მოწინავე ელემენტებთანა ლაპარაკობენ, ისინი გაიძახიან: ჩვენ 1890 წლის ერობის პრინციპიალური მომხრენი არა ვართ, ჩვენ მას მხარს მხოლოდ ტაქტიკურის მოსაზრებით ვუჭერთ, რომ ერობა მალე გვეღირსოს. ამას იმიტომ სჩადიან, რომ რუსეთის პროგრესიულ საზოგადოების გული მოინადირონ. ხოლო როცა სხვა ელემენტებთან, აქვთ ლაპარაკი, სულ სხვა ენით იწყებენ ლაპარაკს, ემხრობიან 1890 წლის კანოის არა მარტო ტაქტიკურის, არამედ პრინციპიალურის მოსაზრებით, არსებითად, ამბობენ: ყოვლად შეუძლებელია თავადაზნაურობის სხვა ელემენტებში გათქვეფა, კეთილშობილთა წოდებას ცალკე წარმომადგენლობა უნდა მიენიჭოსო. ჩვენ გვინდა გავაცალკევოთ სხვა და სხვა ელემენტები, ცალცალკე ერთეულებში მოვათავსოთ ისინი, ხოლო თუ თქვენა გგონიათ, რომ საერობო ერთეულებში ერთნაირი შედგენილობას ნარევი სჯობს—ეს თქვენი საქმეა (სამარისებური სიჩუმეა).

**თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი** ეხება ზოგიერთ მაზრის დანაწილებას, რასაც მიემხრო თავისს მოხსენებაში ბ-ნი რუევსკი ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილისათვის მაზრების დანაწილება ეწინააღმდეგება სოფლის მშრომელ ხალხის ინტერესებს.

მომხსენებელმა ბრძანა,—ამბობს ორატორი—ჩემი შეხედულება იქნებ შემცდარი იყოსო. ეს სიფრთხილე მომხსენებლისა უალაგო არ არის. მოსკოვის გუბერნია სხვაა, ერევნისა—სხვაა. პირველის ანალოგია მეორისთვის არ გამოდგება. იქ თუ ერთისა და იმავე მაზრის ორი ნაწილი ერთმანეთთან დაკავშირებულნი არ არიან, ერთმანეთში საერთო არა აქვთ-რა. ესევე არა ითქმის კავკასიის იმ ადგილებზედ, რომლებიც მხედველობაში ჰქონდა მომხსენებელს. მაზრის ერთი ნაწილი მთიანია, მეორე ბარს წარმოადგენს, მთისა და ბარის მცხოვრებთა ინტერესები-კი მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან ერთმანეთში: თუ ბარს სარწყავი წყალი სჭირია, უკანასკნელი მთიდან მოდის და, მაშასადამე, ყველა ის, რაც ამ მხრივ მთიან ნაწილში გაკეთდება, გავლენას იქონიებს ბარზე, იქ მცხოვრებთა ინტერესებზე. ტყეების გაჩეხვა მარტო მთის ინტერესებით უნდა გავზომოთ, მათ მნიშვნელობა მთელი მაზრისთვისა აქვს. ესევე ითქმის სხვა დარგებზედაც. ყველგან მთა და ბარის ინტერესები ერთმანეთში გადახლართულა, მათი განცალკევება ყოვლად შეუძლებელია.

**გ. ჟ.**

(დასასრული იქნება)

## მებრძოლი სახელმწიფონი

**გერმანეთი.**

V

მეცხრამეტე საუკუნე გერმანეთის ისტორიისა სწორედ რომ განსაცვიფრებელია იმ მხრივ, რომ ნორჩი იმპერია არ დაიბნა და სასაუკუნეთო საკითხების ქვეშ არ გაისრისა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო ამ მხრივ. მართლაც, ზღაპრული სახელმწიფოს სახელი უნდა მიეცეს მას. მხოლოდ გერმანელის ბეჯითს და მუყაითს შრომას, აუღელვებლობას, მოთმენას და შორს განჭვრეტას შეეძლო დაეთმინა ყველა უბედურებანი და საზოგადო კეთილდღეობის დამყარება. სხვა რომ არა ვსთქვათ-რა, საკმარისია გავიხსენოთ გერმანელთა ემიგრაციის შეჩერების საკითხი. როგორც ჯანსაღი და ახალგაზრდა სახელმწიფო, გერმანელები სწრაფად მრავლდებოდნენ ტერიტორიის სიმცირის გამო ჯერ კიდევ 1866 წ. ათასობით მირბოდნენ ამერიკისკენ, ბრაზილიაში, რუსეთში თუ ინგლისში. ყველა ესენი, მაშასადამე, დაკარგულებად ითვლებოდნენ გერმანეთისათვის. და აი, გერმანეთის მთავრობაც ცდილობს როგორმე შეაჩეროს ეს მოვლენა, ან და ისე მოაწყოს გარეშე ვაჭრობა, საქონლის გატანა-გამოტანა, რომ გერმანეთიდან გასულს ელემენტებს საშუალება ჰქონიყოთ სამშობლოს წარმოების ფერხულში ჩაბმულიყვნენ და არ გაეწყვიტნათ მასთან სულიერი კავშირი. განსაკუთრებით ამ გზაზე დასადგომად ერთგვარს მუჯლუგუნს ჰკრავდა 1870—71 წლებიდან სწრაფად გაზდილი მრეწველობა, შინ დაგროვილი აუარებელი საქონელი, რომელიც გაცვლას მოითხოვდა, ბაზრის შოვნას, ამის გარდა თვით მცხოვრებთა სწრაფი ზრდა, რომელიც რაღაც ოციოდ წელიწადში, მათთვის საბედნიერო ომის შემდეგ, სამოც მილიონს მიაღწია. და აი, გერმანეთი დასძლევს ამ დაბრკოლებასა. პირველათ სამხრეთ აფრიკაში ვხედავთ მათ გასულს, ანგრაპეკენიას ნავთსადგურიდან შესულთ, სადაც ჰოტენტოტებისაგან კარგა მოზრდილს საახალშენო მამულს შეიძენენ 1884 წელს. ეს პირველი ნაბიჯი იმდენად სარფიანი გამოდგა, რომ შემდეგ მეთოდიურად შეუდგნენ გარედ გასვლას ახალშენების შესაძენად. ჯერ ესა თუ ის სავაჭრო კამპანია დასდგამდა ფეხს, ადგილობრივ მცხოვრებლებთან მოჰყვებოდნენ აღებ-მიცემობის დამყარებას და შემდეგ მთავრობასთან ითხოვდნენ, ესა და ეს ადგილი თქვენს მფარველობის ქვეშ აიყვანეთო. ამგვარი საშვალებით მალე გერმანეთმა რაღაც ხუთიოდე წლის განმავლობაში, მართლაც, განსაცვიფრებელი ნაბიჯი გადასდგა და მალე ჩვენ ვხედავთ მის ხელში ისეთს ახალშენებს, როგორიც იყო და არის კამერუნი ტოგო, სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა, აღმოსავლეთი აფრიკა, იმპერატორ ვილჰელმის მამულები, ახალი გვინეა, ბისმარკის არხიპელაგია სამოა, საყოია, უპოლუ და მრავალი და მრავალი სხვა. 1901 წლის ანგარიშით გერმანეთის ახალშენობა შეიცავდა 2,650,000 კვადრატიულს კილომეტრს, 15 მილიონი მცხოვრებლებით. აი, ასეც ჰყო რაოდენადმე უზრუნველად გერმანეთის მთავრობამ და იმპერია იხსნა განსაცდელისაგან.

მაგრამ ის, რაც ელოდა გერმანეთს შინაურ მტრებისგან, ეს ყოველისფერს აღემატებოდა. შინაური მტრის სახით ახალგაზრდა სახელმწიფოს მოევლინა ეკლესია, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა მას არა რელიგიურის ნიადაგზე, არამედ სახელმწიფო მართველობისაზე, რათა სახელმწიფო სახელმწიფოში შექმნილიყო და სულიერს მთავრობას საერო დაემორჩილებინა. ფესვები ასეთს მოძრაობისა შორიდან იწყებოდა, საფრანგეთის დიდი რევოლიუციიდან. როგორც ვიცით, საფრანგეთის რევოლიუციის ჩაქრობას მოჰყვა საზოგადო გულგატეხილობა, სახელმწიფო დაწესებულებისადმი ყოველგვარი რწმენის დაკარგვა. რამდენადაც იკარგებოდა რწმენა კეთილდღეობის მოპოვებისა რეფორმების საშუალებით, იმდენად იზრდებოდა სასოება და სულის სიმშვიდის მოპოვების ზრუნვა, რასაც რელიგია ჰპირდებოდა. მთელი ამ დროინდელი მდგომარეობა ლამაზად დაახასიათა ალექსის დე ტოკვილმა: „მრავალსა სწამს, სასურველი იყო ყველასა სწამებოდა“.

ასეთ ქრისტიანულ სულის განწყობილების აღდენის სურვილი მოსჩანს მთელს მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მაინც. ამ მისწრაფებამ გამოიწვია კათოლიკების გაძლიერება, მათ მიერ სხვა და სხვა საზოგადოებების დაარსება თავიანთ დამარხულ ძალლონის აღსადგენად. ამაში დიდად ხელს უწყობდა ეგრედ წოდებული იეზუიტთა ორდენი. თუ კატოლიკეები გარეგნულ სარწმუნოების სფეროს არ გასცილდნენ, სამაგიეროდ იეზუიტებმა რელიგია პოლიტიკაში გადაიტანეს.

ყველაზე მკაცრი ბრძოლა კათოლიკებმა გადმოიტანეს გერმანეთში. თუ გავიხსენებთ 1844 წ. ქრისტეს სამოსად აღიარებულს რაღაცა კონკის ძველას სიწმიდედ გამოცხადებას და ნამდვილ კერპთაყვანის მცემლობის აღდგენას, ადვილად დავინახავთ, რა ნიადაგი ეძლეოდათ ისეთს ნიჭიერს და ცოცხალ ადამიანებს, როგორიც იყო ერთის მხრით კარლ ფოხტი, იაკოფ მოლეშოტი და მეორე მხრით ლიუდვიგ ბიუხნერი, განსაკუთრებით კი დავით შტრაუსი, რომელმაც სასტიკ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა „ცხოვრება ქრისტესი“, რითაც ისეთი მჭერმეტყველი და მღალადებელი აღმოჩენა მოხდა, რის დაფარვა, დამარხვა და პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა ვერავითარმა პოლიტიკურმა ზომებმა ვერ შესძლო.

ცხადია, ასეთი გიგანტიური ზრდა მეცნიერებისა დიდს ხიფათში აგდებდა კლერიკალობას. იგი თვალით ხედავდა თავის თავის ... ბიუხნერის ტლანქი მატერიალიზმი, ფერდინად ბაუერის მიერ სალიტერატურო ამბებად გამოცხადება ძველი და ახალი აღთქმისა, დავით შტრაუსის მიერ მაცხოვრის რელიგიურ გენიოსობის აღიარება და ღმერთ კაცობის მხოლოდ კაცობის ტახტზე ჩამოყვანა სამართლიანად აღშფოთებდა კათოლიკობას და აი, კიდევაც დაიწყეს ბრძოლა, რომ ეკლესიას დაეთმოს სახელმწიფოში პირველობა, რათა მის გამგებლობის ქვეშ ყოფილიყო შინაური თუ საგარეო პოლიტიკა და, რაც უმთავრესია, სწავლაგანათლების საქმის სრული ბატონობა.

ასეთი მოძრაობა კლერიკალობისა თითქოს გვაგონებს უკანასკნელს აღმოფეთქვას პაპა გრიგორი VII პოლიტიკისას, ვამბობთ, მხოლოდ გვაგონებსო, იმიტომ, რომ ამ ულტრამონიტორობის ბაირახტართ არ ვხედავთ ისეთ გენიოს და ცეცხლის ნების ადამიან, როგორიც იყო პაპი გრიგორი VII. ახლანდელი მისი მოადგილე მაინცის ეპისკოპოსი ბარონი ვილჰელმ ემმანუილ ფონკეტტელერი, სასტიკი, დესპოტიური და ფრიად ცხარე ადამიანი იყო, მართალია, მაგრამ პოლიტიკურად შეფარგული. მისი თავის დიდი მართლება საღმრთო წერილის ტრაფილეტური საბუთი იყო: „უნდა ღმერთს დაემორჩილო უფროსად, ვიდრე ადამიანებს“.

უდიდესი ბრძოლა კატოლიკეებისა და გერმანეთის მთავრობის შუა იწყება 1872 წლიდან და თხუთმეტ წლამდის გასტანს, სახელდობრ, 1887 წლამდის. მთავრობის მხრივ იბრძოდა უმთავრესად რკინის კანცლერი—ბისმარკი. ძმ. „საღმრთო ლეგიონებს“ ბისმარკმა რადიკალ ზომებით დაუწყო ბრძოლა. კატოლიკები ამ ბრძოლას უწოდებდნენ ვითომც ცივილიზაციისთვის ბრძოლას **კულტურ-კამპფს**, რაიც ისტორიაში შერჩება ამ ბრძოლის საკუთარ სახელ-წოდების აღსანიშნავად. ბისმარკის ძლიერმა ფარხმალმა მათ საკმაოდ ძლიერად მოუგრიხა კისერი ეგრედ წოდებულ „მაისის კანონებით“, რომელიც ბან პარლამენტში გააყვანინა ახალს მინისტრს ფალკს. ამ კანონების ძალით სკოლის უფროსებად, მეთვალყურეებად, ინსპექტორებად თუ გამგეებად ითვლებოდნენ არა მარტო სასულიერო პირნი, არამედ ერის კაცნიც. შემდეგ 1873 წელს იმავე ფალკმა ახალი კანონები გაიყვანა, რომელთა ძალითაც სასულიერო პირთა უფლება შეზღუდული იქმნა ერის კაცთა დასჯის შესახებ თუ ესენი არ დაემორჩილებოდნენ მათ; მეორე, უცხოელ სასულიერო პირებს, თვით რომის პაპსაც კი უფლება შეეზღუდა, უკედ, სავსებით გაუქმდა. არც ერთს მათგანს პრუსიის სამღვდელოებაში ხელი არ უნდა გაერია; მესამე ის იყო, რომ აქაური სასულიერო პირნი კლერიკალთა სკოლებში კი არ აღზრდილიყვნენ, არამედ საეროში, რომ დოკტრინა და ცხოვრება ერთმანეთთან დაახლოვებულიყვნენ; მეოთხე, სამოქალაქო კანონებს თავის დადგენილებათა მიხედვით შეეძლოთ სასულიერო პირთა თანამდებობიდან გადაყენება თუ კი ამას საჭიროდ დაინახავდნენ. სიტყვით, წლითი წლობით იეზუიტთა ორდენს ორთავე ფრთებს ამსხვრევდნენ, მათს გავლენას ცხოვრებაზე ანელებდნენ, სახელმწიფოს ანთავისუფლებდნენ საუკუნეთა უმეცრებისგან და ათასგვარი უბედურობისაგან, რაიც მოჰქონდათ კატოლიკეებს ცივი და თითქმის ველური დოკტრინებით. ეს იყო ერთგვარი პოლიტიკური დეზინფექცია, რომლის მოხდენა, მართლაც, მხოლოდ რკინის კანცლერებს შეეძლოთ—სახელოვან ბისმარკებს!

კატოლიკეების წინააღმდეგ ასეთს გალაშქრებას იეზუიტებმა დიოკლიტიანეს სასტიკი დევნა უწოდეს, მაგრამ მასსაში მაინც თანაგრძნობას ვერ ჰპოულობდნენ. მათი როლი საუკუნეთა ლეგენდებს ჩაჰბარდა. შემდეგში თვით პარლამენტმა ნელ-ნელ შეანელა მაისის კანონების სასტიკი მოთხოვნილებანი, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეს მართლა ასე რიგად საჭირო იყო, არამედ იმიტომ უფრო, რომ ეს ისე რიგად საშიშო აღარ იყო სახელმწიფოს კეთილდღეობის განმტკიცებისთვის. მათ უმთავრესი იარაღი—უნივერსიტეტი და საზოგადოდ სკოლა უკვე ხელიდან გამოეცალათ. უნივერსიტეტები დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ, მის საქმეში უკვე არა თუ სამღვდელოება, თვით სახელმწიფოც კი აღარ ერეოდა; ამასთანავე გიმნაზიების მაგიერ, სადაც ქრისტიანულ კონსერვატიზმის და კლასიკთა სქოლასტიურ შესწავლის იქით სხვას არას ჰხედავდნენ, ეხლა რეალურ

სასწავლებლებს დაუთმეს მეტი ადგილი, სადაც საბუნებისმეტყველო საგნებს და მათემატიკას მეტი ყურადღება მიექცა, ვიდრე ღვთისმეტყველებას. ასეთის სითამამით ამგვრევდა სიბნელეთა ზღუდეს ახალგაზრდა იმპერია, ასეთი ბეჯითი ნაბიჯით იდგავდა საძირკველს, რომელზედაც შენდებოდა ცხოვრების თანახმად მიზანშეწონილი სასიქადულო სიმტკიცის კედლები.

De—Ka.

(შემდეგი იქნება)

## წერილი ბრძოლის ველიდან

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ აუწყოთ საზოგადოებას, რომ საშინელს განსაცდელში ვიმყოფებით დასავლეთის ფრონტზედ მყოფნი ქართველი ჯარის კაცები, რადგან არ გვაძლევენ ქართულად წერილის წერის ნებას. ბევრი ჩვენგანის მშობლები და ცოლ-შვილი ცოცხლად გვტირიან, რადგან ექვსი თვე იქნება ჩვენგნით მათ წერილები არ მიუღიათ და არ იციან ჩვენი გარემოებანი.

ზოგიერთ პოლკებში აძლევენ ქართულად წერის ნებას, მაგრამ ზოგში უმფროსნი რაღაც მიზეზის გამო წერილებს სიახლოვესაც არ იკარებენ.

არა გვგონია, რომ მთავრობისაგან იყოს ასეთი განკარგულება, თორემ იმ შემთხვევაში ქართულად წერას ყველგან აღუკრძალავდნენ და არა მხოლოდ სხვა და სხვა ჯარის ნაწილებში.

უმთავრესი შტაბის განკარგულება კარგად გვაქვს გაცნობილი, მაგრამ ქართული წერის შესახებ არაფერი სწერია.

ამასთანავე დიდ მადლობას უხდით გაზეთ „საქართველო“-ს რედაქციას, რომელიც სულს გვიბრუნებს თავის პატივცემულ გაზეთით. ეხლა მაინც, როდესაც ქართული წერილების წერა აღვიკრძალეს, დიდად შეგვიმსუბუქა ტანჯვა, რადგანაც მითი ვგებულობთ ყოველისფერ ამბებს. უმეტესი ნაწილი მკითხველებისა სოფლის ამბებს ეტანება, სურთ გაიგონ სოფლის მდგომარეობა, გაჭირვებაშია იგი თუ დალხინებაში. მივეჩვიეთ ყოველნაირ ტანჯვასა და მდგომარეობას. ვფიქრობთ ჩვენს ცოლ-შვილზედ, მშობლებსა და სახლ-კარზედ.

—

გაზეთი „საქართველო“-ს მე-164 ნომრის დამატების მე-29 №-ში მოთავსებული „თავისუფალი მარში“, სამშობლო კილოზედ, დიმიტრი არაყიშვილისა, ახლად გადაღებულ ნოტებზედ შეასრულა არდაგან-მიხაილოვის პოლკის სამხედრო მუსიკამ. მსმენელებს ძლიერ მოეწონათ. დამსწრე ქართველები დიდათ კმაყოფილნი დარჩნენ და მასთანვე უძღვნეს ქება და დიდება ბ. არაყიშვილს და მისს ნიჭს.

ქართველი მებრძოლი.

## სოფლად

### კ ა ხ ე თ ი. II.

**12. საერთო შთაბეჭდილებანი. გურჯაანი.**

თბილისიდან რკინის-გზით გავემგზავრე კახეთისკენ, სიამოვნებით შივეშურებოდი, დიდი ხნის სურვილი მისრულდებოდა—კახეთის ნახვა, და ის პოეტებისგან აღწერილი ნშვენება კახეთისა თვალით უნდა მენახა!

სად. მელაანამდის შეუმჩნეველი მოსაწყენი ადგილებია, გაქრილ-რიყიან გორებში მიიხლაკნება კახეთის რკინის გზა. ჩვეული თბილის-ბათუმის რკინისგზაზედ სიარულს, ვამჩნევ, რომ უფრო ზანტად მიდის და სადგურებზედ დიდიხნით ჩერდება.

ესეც ჩვენი დამახასიათებელი თვისებაა.

სადგ. მელაანიდან სურათი იცვლება. ჩალაუბნის ჩასავალი და რკინის გზა მიხვეულ-მოხვეულ გზით საუცხოვო სურათს წარმოადგენს. იმ ადგილს, სადაც მიწა ზევადება მატარებელმა სიარულს უკლო.

სახრფათო გზას გავცდით და ალაზნის ველი გადაგვეშალა წინ.

იცი, რა არის, ჩემო მკითხველო, ალაზნის ველი?!

ალაზნის ველი—ეს მთელი პოეზიაა!

გული გეხსნება, ხელებსა შლი და სალამს აძლევ ალაზნის ველს და შენი თვალი არ ძღება მისი აღსავსე დიადი სურათით!

უნდა დასდგე მოხერხებულ ადგილზედ და უყურო ალაზნის ველს. შორს გადაჭიმულს და მის აფერადებულს სივრცეს თვალს არ აშორებ, ჰაერიც კი სხვა და სხვა ფერადებით იცვლება და შეხამებით ზედ ერთვის აქა-იქ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჭალებიდან ვერცხლის ფრად ოდნავ მდორე მიმავალს მდინარე ალაზანს.

და მართალს ამბობს ვახტანგ ორბელიანი:

„ველსა მთლად მოსილს წალკოტებით და ყვავილებით,
ველსა ედემსა, ტურფა ედემს, ღვთისგან პირველ ქმნილს,
მის ვრცელ ველს შუა მშვენიერსა დიდსა მდინარეს,
ზოგან კამკამით, ზოგან მჩქეფრად მიმდინარესა,
შეხედოს ნახოს მის მდიდარი ტურფა შვენება,
და მისი გული სიცოცხლისთვის კვლავ გაიშლება“.

აღმოსავლეთისკენ ალაზნის ველს გადმოჰყურებს დაღესტნის სოსანის ფრად აფერადებული მთები, თითქოს დარაჯად უდგია ამ ტურფა კუთხეს საქადთველოს ნაწილისას.

სამხრეთისკენ ალაზნის ველი გაშლილია და შორს სივრცეში იკარგება, ცას უერთდება.

ამ შეერთების იქით ჩემი თვალი კიდევ რაღასაც ეძებს, და კვლავ ჩემი თვალი ალაზნის ველს უბრუნდება,

„დაქცეულ ჰმუნვითა და შენ წყალში ვეძებ ჩემს წარსულს,
დროთა ბრუნვისგან შენ ზვირთ შორის დამარხულს, დანთქმულს“.—

მაგონდება ილიას სიტყვები.

თუ წარსულს ვეძიებ ალაზნის ველზედ, სამაგიეროდ ვხედავ აწ ამწვანებულს ბაღ-ვენახებს და გლეხის მარჯვენით შემუშავებულ რიგზედ წრეგავლებულ ვაზის ძირებს.

მიდიხარ ამ დაუსრულებელ ვენახებში, დამკრახული მტევნები გიწვევენ, კოპწიად შეხვეულ ვაზებს გინდა მოეხვიო.

და ამ ზღვა-გაშლილ ვენახებში სოფ. გურჯაანში შედიხართ.

Legatus.

(შემდეგი იქნება)

## ს. იაშვილი

**„მოკლე სახელმძღვანელო ბუნებისმეტყველებისა“*).**

ქართულ სასწავლებლებში ქართულ სახელმძღვანელოების შემოღება უმთავრესად გვინდა იმიტომ, რომ გავუადვილოთ ჩვენს ხალხს სწავლის მიღების საშუალება არსებობის ბრძოლისათვის და შევამციროთ რიცხვი იმ მრავალ „უნიჭოთა“, რომელთაც ეძნევლებათ გადაგვარება, და მით ნიჭიერ მუშაკებათ შევმატოთ ქართველს შედარებით მცირერიცხოვან მუშაკთა ლაშქარს. ამისათვის არა კმარა წიგნის მხოლოდ „ქართულად“ შედგენა აუცილებლად საჭიროა, რომ წიგნი პედაგოგიურის მხრითაც რიგზედ დალაგების და საგნის სისწორით გადმოცემის მხრითაც არ ჩამოუვარდეს ხმარებულს რუსულს წიგნებს; თორემ ყველა კაცი ისევ რუსულად სწავლას არჩევს და სირცხვილად აღარ გვიყოფა ჩვენი ქართული სკოლა და ქართული წიგნიც. ამიტომ ყოველივე ქართული სახელმძღვანელო მცოდნეთაგან უნდა იხილებოდეს და მისი ნამდვილი ღირებულობა ისაზღვრებოდეს. თუ ჩვენ აღნიშნულ საქმისადმი მართლი სიყვარულითა ვართ გამსჭვალულნი, მიუდგომელის მსჯავრისა არ უნდა გვეშინოდეს და არც უნდა ვთაკილობდეთ, რა რიგ სასტიკიც უნდა იყოს იგი. პირ იქით, ჩვენ მოხარულნიც უნდა ვიყვნეთ სიმართლიან კრიტიკის; თუ იგი საფუძვლიანია, მხოლოდ მაშინ იქნება მიღწეული სასურველ მიზანს.

ამასთანავე, რასაკვირველია, უნდა გვახსოვდეს, რომ კრიტიკას მიზნათ ადამიანის დაცინვა, მასხარად აგდება და გათახსირება კი არ უნდა ჰქონდეს დასახული, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საგნისადმი არსებითად შეხება და ნაკლის ჩვენება, შესწორებაც-კი.

პატივცემულ ბ.-ნ. იაშვილს თავზედ ვალად უღია ქართულ სასწავლებლებისათვის საბუნების-მეტყველო წიგნების ქართულად შედგენა და პირველი წიგნი დაუბეჭდია კიდეც. ეს ფრიად დიდი საქმეა და დიდი მადლობის ღირსიც არის წიგნის ავტორი, რომ ქართულს ენაზედ მოგვცა ასეთი საჭირო დარგის წიგნი. მხოლოდ, როგორც პირველი ცდა, ეს შრომა ზოგიერთს შესწორებას ჰსაჭიროებს (რასაც ავტორი თვითონვე გრძნობს) და აი, სწორედ ამას მინდა მივაქციო წიგნის შემდგენელის ყურადღება, რომ შემდეგი გამოცემა უფრო გაშალაშინებული და უნაკლო გამოვიდეს, მოსწავლეთათვის მეტ სასარგებლოდ და ავტორისა—მეტს სახელოდ. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ამ სახელმძღვანელო წიგნის ენა არ არის ენა საბუნებისმეტყველო წიგნისა.

ბუნების-მეტყველება იგივეა, რაც მათემატიკა; ანუ სხვანაირად რომ ვსთქვათ, ბუნების მეტყველება (ბუნება თავისი კანონებით) არის ხილული თუ სხეულებრივი გამოხატულება მათემატიკურ ფორმულებისა. ამიტომ, როგორც მათემატიკას აქვს ნაკვთიენა, აგრეთვე მარტივად, გარკვევით და სხარტულად უნდა იყოს დაწერილი ყოველი საბუნებისმეტყველო წიგნიც. აქ არ ივარგებს „ჩვეულებრივი“ წერის ფორმა. აქ თავი უნდა დავანებოთ პოეზიაში ხმარებულ წესებს სინონიმებისას და სხვა. ამ წიგნმა თავის ენის პოეზიით კი არ უნდა გაიტაცოს მოწაფე, არამედ იმ მრავალფეროვან ბუნების კანონებით, რომელიც ასე ამშვენებს ქმნილებას და აქ ყვევებს ადამიანის ყურადღებას. აქ სიტყვის დაუდგრომლობა, სხვა და სხვა მნიშვნელობა უნდა მოისპოს, ყოველიგე სიტყვას განსაზღვრული შინაარსი მიეცეს, დაემკვიდროს და ესა თუ ის სიტყვა მხოლოდ საჭიროებისამებრ იხმარებოდეს წინადადების უეჭველად იმ ადგილზედ, სადაც ამას აზრი მოითხოვს. ამიტომ არამც თუ აზრი უნდა იყვეს ფიქრის ნაყოფი, არამედ თვით ყოველივე წინადადება მრავალჯერ უნდა იქმნას განხილული და აწონილ-დაწონილი.

არა კმარა ის, რომ „ყოველივე განმარტება სიტყვიერი თუ თვალსაჩინო მასწავლებლებისა და საკლასო მეცადინეობის საქმეა“. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წიგნი მხოლოდ მასწავლებლებს ექნებათ სახელმძღვანელოდ (თუმცა ან მაშინ რატომ არ უნდა იყოს წიგნი სრული სახისა); უეჭველად მოსწავლენიც და გარეშე კერძო პირნიც მოინდომებენ მით სარგებლობას. საუბრის დროს აზრის სასურველად გასაგებად მასწავლებელს, მართალია, კილოთი და ხმის ამაღლება-დადაბლებით შეუძლიან ხაზი გაუსვას და მსმენელის ყურადღება მიაქციოს ამა თუ იმ სიტყვას. მაგრამ ისიც კარგათ ვიცით ყველამ, რომ კითხვის დროს ადამიანი მხოლოდ დაწერილზედ არის მიტოვებული და, თუ წიგნი ამ მხრივ სუსტობს, მკითხველისათვის ბევრი რამ დარჩება არამც თუ გაუგებარი, არამედ (შეიძლება არც მოხდეს) ყალბადაც შეთვისებული.

ასეთი ვრცელი შესავლით მე სრულებითაც იმისი თქმა არ მინდა, რომ პატივცემულ ბ-ნ სეით იაშვილის წიგნში ბევრი ასეთი შეუწყნარებელი შეცდომებია შეპარული; უფრო სიტყვამ მოიტანა და მეც იმიტომ ვთქვი საზოგადოდ. მაგრამ განყენებულმა მსჯელობამ, რომ კვლავ განზედ არ გაგვიყვანოს, უკეთესია წიგნიდან ამოვიღოთ მაგალითები და მათზე ვისაუბროთ.

შეცდომები არა მაქვს მე კატეგორიებად დაყოფილი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მკითხველი რიგზედ მიჰყვება წიგნს და აქეთ-იქით ფურცვლა არ დასჭირდება და მეორეც იმიტომ, რომ ასეთი წერა ნაკლებ დროს და წვალებას მოითხოვს. მე კი აზრადა მქონდა მხოლოდ შეცდომებზედ მითითება და, შეძლების გვარად, მათი შესწორება, რაც ჩემის აზრით ამგვარადაც, დაულაგებლადაც მიხწეულია.

მაშ მივყვეთ წიგნს:

მ. შალამბერიძე.

(შემდეგი იქნება)

*) იხილე „საქართველო“ 1915 წლის № 152. ეს წერილიც მაშინ უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, იძულებული ვიყავი დღემდინ გადამედო.

მ. შ.

## დაბა-სოფლები

**ძნის ხეობა** (დუშეთის მაზრა). ძველს სასწავლო წლებს ჰყვება ახალი სასწავლო წელიც, ქსნის ხეობა კი, როგორც იყო ისევე არის. სამი ათასამდე მეკომურ გლეხ-კაცს სძინავს. არავის არ აწუხებს, რომ სასწავლებელი არა აქვთ.

სოფ. ოძისის ზევით ორი ათასი მეკომური ერთი სამინისტრო სკოლის ანაბარაა. ისიც მარტო ერთ სოფელს—ახალგორსაც ვერ აკმაყოფილებს. ჯერ ისევ ომის დაწყებამდე რამდენიმე სოფელმა ითხოვა სამ. სკოლების დაარსება. ბ-ნი ინსპექტორი, პოლიტოვი პირადაც დაჰპირდა, მაგრამ ეს ჩვეულებრივ დაპირებად გამოდგა.

სხვაგან არ ვიცი და აქ კი სულიერი მამები სხვა ჩვეულებრივი მომაკვდავისაგან მხოლოდ ანაფორით განსხვავდებიან. აქ ჩამქრალია ქართული სული. ერთად, ერთი ალაგობრივი ვითომ სახალხო საზოგადო მამასახლისის მოსამართლეების არსებობაც, ჩვენის აზრით, სრულიად არ ამართლებს თავის ტრადიციულს მოვალეობას. არსებულ პირობებში არჩეული მამასახლისები ხალხიდან შორს დგანან და მოუმზადებლებიც არიან ხალხის სამსახურისათვის. ზოგს მათგანს იქნებ სამიკიტნო აგონდება, ვიდრე საზოგადო საქმე. როგორც ვიცით მამასახლისის კანცელარიის შენახვა საზოგადოებას ყოველ წლივ ას თუმნობით უჯდება. უკვე რა ხანია ასეთი წესია და დღევანდლამდე შემთხვევა არ არის საზოგადოებას მოეთხოვოს ანგარიში ვისგანაც ჯერ არს თუ სად იხარჯება ეს ფული!

მიხ. ქს'ელი.

## სპორტი

**(ფრანგული ჭიდაობა).**

16 ენკენისთვეს გაიმართა მეტად საინტერესო ჭიდაობა. პირველ წყვილში ამ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ორი გამოჩენილი მოჭიდავე.

„მსოფლიო ფალავანს“, მრავალ ფალავანთა ფალავნის წამქცევს, ფალავანს კლიმენტი ბულს დაეჯახა „შავი ნიღაბი“. ბული ჩვეულებრივ მარდად და ლამაზად ჭიდაობდა, მაგრამ „შავ ნიღაბთან“ ვერ ახერხებდა ვერც ერთს თავის საყვარელ ხერხს; მაგალითად, ბულმა რამოდენიმეჯერ სცადა ხერხი „tour de tête“-ით გადმოეტანა მოპირდაპირე, მაგრამ ამაოდ. თვითონ დამარცხდა და პირქვე დაენარცხა. ბულმა სცადა აგრეთვე „ორმაგი ნელსონი“ მაგრამ მოპირდაპირემ ამ ხერხისაგანაც ადვილად იხსნა თავი და თვითონ ბულს „სასიკვდილო ალყა“ შემოარტყა, ბულის წაქცევას წინ არაფერი ეღობებოდა, ამან აიძულა ბული პირველად ეღალატნა სპორტის კანონებისთვის და მოპირდაპირეს აკრძალული ხერხი, ეგრედ წოდებული „მკლავის გასაღები“ გაუკეთა და თავი გაინთავისუფლა; პატივცემულ „ჟიურის“ ამისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია.

უკანასკნელად ბულმა მოიკრიფა რაც ძალი და ღონე ჰქონდა. პირდაპირ ეძგერა „შავს ნიღაბს“, გულში ჩაკრული ხერხი-„წინა სარტყელით“ ასწია და უნდა ქვეშ მოეყოლა, მაგრამ მისდა საუბედუროდ ღონემ უღალატა და გუშინდელი **ი. პოდუბნის** წამქცევი დღეს „შავმა ნიღაბმა“ დაამარცხა.

**მეორე წყვილი.**

გამოჩენილ ბელგიელ „მსოფლიო ფალავანს“ **ჟორჟ დაზეს** დღეს პირველად დაეჭიდა სახელ-განთქმული „მსოფლიო მოჭიდავე“ „ფალავანთა არწივი“, პატივი და სიამაყე რუსეთის სპორტისა, **ი. პოდუბნი**. შეჭიდნენ ერთმანეთს ორი ბუმბერაზი, ჭიდაობდნენ დინჯად, თვალწარმტაცს ხერხს არ უჩვენებდნენ ხალხს, მაგრამ ძლიერი მკლავების ვარჯიში მაინც სასიამოვნო საყურებელი იყო. საყვარელი იყო **პოდუბნი**, როდესაც ის ცალ ხელით აგორებდა შვიდ ფუთიან ბელგიელს. და ბოლოს როგორც მოსალოდნელი იყო **პოდუბნიმ** ხერხი „ბრა რულეთი“ დასცა **ჟ. დაზე**.

**მესამე წყვილი.**

დღეს მეორედ დროის განუსაზღვრელად კავკასიელ ბუმბერაზს ბრგე ფალავანს „ყაზბეგის მთას“ დაეჯახა „მსოფლიო ფალავანი“ გამოჩენილი სპორტსმენი, ავიატორი და პილოტი **ი. ზაიკინი**.

ჭიდაობდნენ ზანტად და უსიცოცხლოდ, რაც აუცილებელია „ყაზბეგის მთასთან“.

პოლიციის დრომ ჭიდაობა შეაწყვეტინა.

სპორტის ხელმძღვანელის ბ. კელცევის საყურადღებოდ ვიტყვით, რომ ის ბოლო დროს ყოვლად უზნეო საქციელებით უმასპინძლდება საზოგადოებას. შემაშფოთებელია ის მოვლენა ანუ უკეთა რო ვსთქვათ „ის თვალთმაქცობა“, რომელიც ჩაიდინა 15 ენკენისთვეს, თითქოს ბულს წაექციოს **პოდუბნი**. პატივცემულმა **კელცევმა** უნდა უწყოდეს, რომ ის საზოგადოება, რომელიც ესწრება ჭიდაობას, ადვილად გაიგებს კელცევის „თვალთმაქცობას“ და ღირსეულ სახელსაც უწოდებს, როგორც უწოდა მოსკოვის საზოგადოებამ ერთ კარგად ცნობილ ფალავანთა ხელმძღვანელს.

ეს სახელი არის „ბალაგანშჩიკი“, უფრთხილდეს კელცევი ასეთ სახელწოდებას.

გენო.

## შემოწირულება

ბატონო რედაქტორო!

ვიცი, ფრიად გაჭირვებულ მდგომარეობაში იქნება ჩვენი საყვარელი ვალიკო გუნია. გიახლებთ 50 მან გთხოვთ გადასცეთ მის წვრილშვილიანს ოჯახს *).

ექიმი **გ. ფ. ნ—შვილი.**

*) ფული დანიშნულებისამებრ გარდაეცა. **რედ.**

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**



## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. № 9, | 10.33 | სად. |
| ბორჯომის | სამგზ. № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. № 4, | 9.28 | სად. |
| ყარსისაკენ | სამგზ. № 4-3, | 11.13 | სად. |
| თელავისაკენ | № 4, 7 „ | 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. № 4, | 8.38 | სად. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. № 18, | 10.12 | სად. |
| ბაქოდან | საფ. № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. № 7, | 4.12 | სად. |
| „ | ჩქარ. № 5, | 8.48 | სად. |
| თელავიდან | № 3, . 7 „ | 58 „ | სად. |

## ს უ ს უ ნ ა ტ ი

ვისაც სურს [illegible] სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ [illegible] [illegible], რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება სუსუნატის წამლით პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით“. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორებ**ის მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია.**

**თუ თქვენთვის ეს საძნელო** იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს [illegible] მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტის და მეჯავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელ დღე.

—300—

## საგალანტერიო მაღაზია

## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
## ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

**იყიდება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი: ჩულქეულობა, კოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**

(101—წ.)

**სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს გამგებლობაში მყოფი**

## კულინარული (მზვარეულობის) სკოლა
## ე. ნ. მისტროვისა

(გრიბოედოვის ქ., № 7.)

სკოლის წესდების § 4-ის ძალით აძლევენ თეორეტიულ ცოდნას მეოჯახეობის, საზვარეულოს ჰიგიენის, საჭმლების კეთების, სანოვაგე-სურსათის ხორციელობისას. პრაქტიკულად ასწავლიან სხვა და სხვა გვარ რუსულ, რომიულ და ადგილობრივ საჭმლების, ნამცხვრების, მურაბების და შინაკვასის კეთებას. სკოლის მიზანია: 1) გააუმჯობესოს და გააიაფოს ოჯახეობა; 2) შესწავლოს კულტურული პროფესია ცხოვრებაში გამოსაყენებლად და ცხოვრების წყაროს მოსაპოვებლად.

**სამი თვის კურსი ღირს 25 მან. შეიძლება მეცადინეობა თვიურად გაკვეთილობითაც. სკოლაში შესვლა შეიძლება ყოველდღე.**

(10—338—

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი**

## კომერციულ ცოდნათა
## — კ უ რ ს ე ბ ი —
## ტ. მ. ფილოიანისა

**ორივე სქესისთვის**

(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)

**თხოვნები მიიღება:** 4—5 საათ. სადამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

(20—231—19)

**ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა „ფ ჟიგ. მაღაზ.**

## „განათლება“-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტ., რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე. პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკ“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

## თევზის მრეწველნი
## ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ძ. მაილოვის-შვილ, მრეწველობიდან ახალი ქვირითის ზარზადა, მცირე მარილიანი, შავი „შოხნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.





სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.